ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 13 ოქტომბერი 2006 №237 (2859) ფასი 50 თეთრი




## არველაძეს, მუჯირს და ასათიანს რომ ეთამაშათ, დარწმუნებული ვარ, ამ მატჩს მოვიგებდით

## მომდევნო თამაში მხოლოდ ფანებს უნდა მივუძღვნათ!

*ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან*
*იხილეთ მეოთხე გვერდზე*

# განცდილი და დაცდილი: გახსოვდეთ პალანგა და რაგბი

ჰერბერტ ცანკერის გაწვრთნილ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს დღეს ევროგამოცდა ეწყება.

12 საათზე ბოლნისში გერმანია — მაკედონიაა, 15 საათზე კი თბილისში, „მიხეილ მესხზე" საქართველო — რუსეთი. მოკლედ, დღეს 17-წლამდელთა ევროშესარჩევი ციკლის პირველი ეტაპი იწყება.

ამ ოთხგუნდა ჯგუფიდან ორი გუნდი გავა ელიტ-რაუნდში, რომლის ჯგუფური შეხვედრები მარტში გაიმართება — იქიდან გამარჯვებული კი ფინალურ ეტაპზე სათამაშოდ ბელგიაში წავა.

ქართველმა 17-წლამდელებმა საამტურნიროდ საკმაო ამხანაგური მატჩი ჩაატარეს, განსაკუთრებით ნაყოფიერი კი პალანგის რვაგუნდა საერთაშორისო ტურნირი იყო, რომელშიც ჩვენებმა ფინალში სწორედ იმ რუს თანატოლებთან წააგეს (1:2), რომლებსაც დღეს შეხვდებიან.

შეგახსენებთ, რუსეთის 17-წლამდელთა ნაკრები შემოვლითი გზით ჩამოფრინდა თბილისში — ბოლოხანს გართულებული პოლიტიკური ურთიერობის გამო, ერთი თქმა, ისინი საერთოდ არ აპირებდნენ ჩამოსვლას, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რა ხათაბალაშიც გაებმებოდნენ და თურქეთის გავლით ჩამოფრინდნენ.

ჰერბერტ ცანკერის საამტურნირო შემადგენლობა ასეთია:

***მეკარეები:*** *გიორგი მაკარიძე (დინამო-აკადემია), ირაკლი დგებუაძე (ოლიმპი);*

***მცველები:*** *ირაკლი კალანდია (ლოკომოტივი), გიორგი გეთიაშვილი, გურამ მინდორაშვილი (ორივე დინამო-აკადემია), ცოტნე ბუკია (ზობი), ილია სორდია (ვიტ ჯორჯია);*

***ნახევარმცველები:*** *გიორგი მამუჩიშვილი, გიორგი ჯოხაძე (ორივე დინამო-აკადემია), თორნიკე თარხნიშვილი (ზესტაფონი), თემურ შონია (ოლიმპიკი-აკადემია), ზაქრო ბეგლარიშვილი, რეზო ღანიაშვილი (ორივე ოლიმპი), თორნიკე ბერიძე (ბათუმი), გიორგი სალარიძე (ჩიხურა), ლევან ყენია (ლოკომოტივი);*

***თავდამსხმელები:*** *ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), მიხეილ ხოკერაშვილი (ოლიმპიკი-აკადემია).*

ისე, 13 ოქტომბერი და რუსეთი კარგად გვაქვს დაცდილი — ოთხი წლის წინ სწორედ ამ დღეს იყო, ჩვენმა მორაგბეთა ნაკრებმა რუსთა ძლევით მსოფლიო თასის საგზური რომ მოიპოვა.



## ვაჩვენოთ რუსეთს მასპინძლობა და თამაში!

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ტკბილი სიმღერა

საქართველომ კიდევ ერთხელ წააგო თამაში, უკვე მეოთხედ, ამხანაგურიან-შესარჩევიანად.

საქმე ისე მოხდა, რომ გულშემატკივრები ბოთლებს აღარ ისვრიან: მხოლოდ ის იყო, სტრიკერის უმოწყალოდ მცემელი პოლიციელების მისამართით გაფრინდა წყლის პატარა ბოთლები.

სტადიონის იერი ევროპულია, მწვრთნელი ევროპელი, გარემო საზეიმო და ზეაწეული. ხალხი ჰიმნს ასრულებს, ფეხბურთელები ისევე იხარჯებიან, როგორც ევროპაში, თუმცა თამაში ჯერ კიდევ ძველი, ქართული მაჯლაჯუნებით არის სავსე.

ამ მაჯლაჯუნებს ცუდი სახელი არ ჰქვია — პირიქით, სრულიად გადასარევი: მთვლემარე სამოყვარულო სული ისევ ცოცხალია და თამაში არ გაივლის, ორჯერ-სამჯერ, სრულიად გადამწყვეტ მომენტში არ უმტყუნოს საქართველოს ნაკრებს, რომელიც თავს არ ზოგავს, თამაშობს თანამედროვე ტაქტიკით, მთელი მონდომებით, ჯიგრით, რაც კი რამ ოსტატობა გააჩნია, იმითაც, თანდათან ბევრი რამ უკეთესად გამოსდის, მაგრამ საბოლოოდ მაინც წაგებული რჩება.

სამოყვარულო სული ისევ ცოცხალია ჩვენს გუნდში, იმიტომ, რომ ცოცხალია სამოყვარულო ოსტატობა.

სამოყვარულო მიდგომამ განისვენა, მაგრამ ოსტატობა ჯერჯერობით დარჩა.

ვიღაც აღელდება ისე, პროფესიონალი რომ არ უნდა აღელდეს, და ყველაფერი დამთავრდა, იმიტომ, რომ მოყვარულები ფარერებსა და სან მარინოში თუღა დარჩნენ.

ფეხბურთს უცნაური, ერთი შეხედვით, მოულოდნელი სიღრმე აღმოაჩნდება ხოლმე.

ეს სიღრმე ზოგჯერ ისეთია, რომ ფსკერი არ უჩანს და ერის ყველაზე ტკივილიან ადგილებში აღწევს.

ჩვენ ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ.

უნდა გავაგრძელოთ ამ საშინელ და ოხერ სიბნელეში სვლა და ყოველი წაგების შემდეგ ნაბიჯით მაინც უნდა წავიწიოთ წინ. სხვანაირად თამაში ისევ ჩათვლემს. ფეხბურთმა კი ისეთი ჩაძინება იცის, რომ ბევრს შეშურდება.

მგონი, ესეც ნანახი გვაქვს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ჰერ კლაუს, იყავი ჩვენთან!



> თავიდანვე შევთანხმდეთ: საქართველოს ნაკრებმა ოთხშაბათს წააგო და არ გვაქვს არანაირი უფლება, ამ ამბავს უარყოფითის გარდა რაიმე სხვა შეფასება მივცეთ. ნაკრებმა წააგო, რაც თავისთავად ძალიან ცუდია და ახლა ვცადოთ, ის მიზეზები ვიპოვოთ, რამაც მსოფლიოს ჩემპიონთან ჩვენების მარცხი გამოიწვია...

მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების ძირითად შემადგენლობას რომ გადავხედე, ერთი საინტერესო რამ ჩავინიშნე — აღმოჩნდა, რომ თერთმეტ ქართველ ფეხბურთელს შორის სულ ხუთი იყო ისეთი, რომლებსაც თავიანთ კლუბებში სისტემატური სათამაშო პრაქტიკა აქვთ. ჯაბა კანკავა კიევის „არსენალში" თამაშობს ხოლმე, ზურაბ ხიზანიშვილი „ბლექბერნში", კახა კალაძე „მილანში", დავით კვირკველია ზაპოროჟიეს „მეტალურგში", ხოლო ზურაბ მენთეშაშვილი იაროსლავლის „შინიკში", დანარჩენი ექვსი კი აქა-იქ თუ გამოჩნდება მოედანზე და, როცა პირდაპირ იტალიასთან მოუწიათ თამაშმა, ბუნებრივია, საუკეთესო თვისებების გამოვლენა გაუჭირდათ. თუმცა აქ გამონაკლისიც იყო — ლევან ცქიტიშვილი და გიორგი შაშიაშვილი უთამაშებლობის კვალობაზე საკმაოდ კარგად გამოიყურებოდნენ.

ახლა კი, როცა სათამაშო პრაქტიკის უქონლობაზე ვლაპარაკობთ, გვახსენდება კლაუს ტოპმიოლერის ნაიტალიევს ნათქვამიც, ბიჭებს კლუბებში სათამაშო პრაქტიკა არ აქვთ და ამიტომაც ჰქონდათ შეცდომებიო. ვეთანხმებით მწვრთნელს და აქვე ერთი ბუნებრივი კითხვაც გვიჩნდება, ტოპმიოლერმა მატჩამდე არ იცოდა, რომ სათამაშო პრაქტიკის უქონელ ფეხბურთელს შეცდომები ექნებოდა?! ვეჭვობთ, იცოდა. თუმცა იმასაც ვეჭვობთ, რომ ტოპიმ არ იცოდა, ამ ფეხბურთელების ნაცვლად ვინ გამოეძახებინა ნაკრებში. ლოგიკურ ჯაჭვს თუ მივყვებით, ორი შესაძლო პასუხი უნდა მივიღოთ. პირველი: ტოპმიოლერმა გამოსადეგი ფეხბურთელები ეძება და ვერ იპოვა. მეორე: არ უძებნია და გამოსაძახებელი შემადგენლობის შერჩევისას სხვათა რეკომენდაციებს დაეყრდნო.

ამ ორი შესაძლო პასუხიდან სიმართლესთან ახლოს ჩვენ უფრო მეორე მიგვაჩნია. რატომ? იმიტომ, რომ კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე (ერთი-ორი გამონაკლისის გარდა) კაციშვილს არ უნახავს და, ცხადია, მისთვის საინტერესო ფეხბურთელს ვერც მოძებნიდა. არადა, დარწმუნებულნი ვართ, რომ საქართველოს ჩემპიონატში მეტი თუ არა, სამი-ოთხი ისეთი ფეხბურთელი იქნება, რომელთა გამოძახება სანაკრებო შეკრებაზე მაინც შეიძლება.

აქედან გამომდინარე, ჩვენი მოკრძალებული თხოვნაა კლაუს ტოპმიოლერისადმი, რომ პირადად მან უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს ეროვნულ ჩემპიონატს და ეგებ ისე მოხდეს, როგორც იყო შვიდი-რვა წლის წინ, როცა იოჰან ბოსკამპმა სწორედ შინაური ჩემპიონატის მატჩებში შეამჩნია ზურაბ ხიზანიშვილი და ოთარ ხიზანეიშვილი, ივო შუშაკმა კი მალხაზ ასათიანი და ორივე ამ მწვრთნელმა ეს ფეხბურთელები პირველივე გამოძახებისთანავე ნაკრებში ათამაშა. თუნდაც იგივე ბოსკამპის გამოძახებული ბადრი ახვლედიანის თამაში გაიხსენეთ საბერძნეთთან, ამ, მანამდე თითქმის უცნობ ფეხბურთელს ბოსკამპმა სულ ორი მატჩისთვის დაუძახა და როგორც ითამაშა, ალბათ კარგად გახსოვთ.

სანაკრებო სპეციფიკიდან გამომდინარე კი, რომელიმე ფეხბურთელის ერთი, კონკრეტული მატჩისთვის გამოძახებაც ხშირად გამართლებულია. მით უმეტეს, ახლა იქნებოდა ამის საუკეთესო საშუალება, როცა ტოპის ერთბაშად ოთხი წამყვანი და ორიც ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი აკლდა. გამოძახებული შემადგენლობის ნახევარს კი, როგორც თავადვე თქვა და ჩვენც ვიცით, სათამაშო პრაქტიკა აკლდა, რბილად რომ ვთქვათ, კარგად ვერ ითამაშეს.

სხვა საქმეა, რომ კლაუს ტოპმიოლერი იმდენად მაღალკვალიფიციური მწვრთნელი და იმდენად ძლიერი ტაქტიკოსია, ეს შემადგენლობაც კი მსოფლიოს ჩემპიონებთან მაინც ტოლ-სწორად ათამაშა და ვინ იცის, ერთი უაზრო გაძევება რომ არა, იტალია თბილისიდან რა მარაგით წავიდოდა.

თავად განსაჯეთ, ტოპმიოლერს აკლდა ნაკრების ლიდერები: შოთა არველაძე, მალხაზ ასათიანი, გიორგი დემეტრაძე, ლევან კობიაშვილი; ძირითადის წევრები: გოგიტა გოგუა და დავით მუჯირი. ძირითად შემადგენლობაში ითამაშეს სათამაშო პრაქტიკის არმქონე ფეხბურთელებმა. სრულიად უვნებელ სიტუაციაში მსაჯს თავი გააძევებინა ჯაბა კანკავამ. მეკარეს ჰქონდა უხეში და საბედისწერო შეცდომა და... თითქოს ისე გამოვიდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონებთან საქართველომ სამი-ოთხი ფეხბურთელით ითამაშა... ამ ყველაფრით გვინდა ვთქვათ, რომ ტოპმიოლერი ძალიან ძლიერი ტაქტიკოსია და მისი ხელი ჩვენს გუნდს მომავალში კიდევ უფრო უნდა დაეტყოს. ის საქართველოს ნაკრებისთვის ძალიან საჭირო მწვრთნელია. მაგრამ, ალბათ უკეთესი იქნება და, მასაც და ჩვენც საქმე გაცილებით გაგვიიოლდება, თუ ზემოხსენებული პრობლემის მოგვარებას შეეცდება და სამომავლოდ ამაზე სალაპარაკო აღარ გვექნება.

სხვათა შორის კი, მსოფლიოს ჩემპიონმა მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პერეირამ სამხრეთ აფრიკის მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ კითხვაზე, წელიწადში რამდენ ხანს გაატარებთ სამხრეთ აფრიკაში, უპასუხა — ეროვნული ჩემპიონატის დამთავრებამდე სამხრეთ აფრიკაში ვიქნებიო.

გვიჭირს იმის დაჯერება, რომ სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატი საქართველოსაზე მაღალი დონისაა.

ვცადოთ, ჰერ კლაუს. ეგებ თქვენც აღმოაჩინოთ საქართველოს ჩემპიონატში თქვენთვის სასურველი ფეხბურთელი. თქვენი თვალი თქვენია...

**ჟობა ინასარიძე**

## პრაქტიკულად უპრაქტიკო ნაკრები




### შვედეთი

სუპერეტა
გადადებული მატჩი
სუნდსვალი 2:0 ვასბი

### რუმინეთი

A დივიზიონი
გადადებული მატჩი
რაპიდი 4:0 გლორია

### ამხანაგური მატჩები

ტრინიდადი 2:1 პანამა
პერუ 0:1 ჩილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

...საფრანგეთი, უკრაინა, გერმანია, იტალია — კლაუს ტოპმიოლერის განწვრთნილმა საქართველოს ნაკრებმა ბოლო ოთხი შეხვედრა წააგო. ტომპმიოლერმა სათანადოდ ვერ· დამოძლვრა გუნდი, დაუშვა შეცდომები, ნაკრებს ტრავმების თუ დისკვალიფიკაციების გამო არ ჰყავდა ბევრი წამყვანი ფეხბურთელი, ღარიბნი ვართ მაღალი კლასის ფეხბურთელებით, იღბალი, შემთხვევითობა თუ ფორტუნა იმას სწყალობს, ვისაც გონება უჭრის — ამ საკითხებზე საუბარი და კამათი მართლაც ღირს, მაგრამ ამჯერად სულ სხვაზე გვსურს ყურადღების მიქცევა...



# კატანეცმა არ უნდა გვაჯობოს!

## გაფლანგული დრო

გუნდის შენება იწყება მეკარიდან და, როცა ტოპმიოლერი ჩვენი უპირველესი გუნდის თავკაცად დაინიშნა, ნაკრების რამდენიმე სტაჟიანმა, წამყვანმა ფეხბურთელმა მას საკუთარი აზრი მოახსენა — თუ სერიოზულ მიზნებზე ვფიქრობთ, უცხოელი, ნატურალიზებული მეკარე უნდა მოვნახოთო. აქედან რამდენიმე დღეში კი ტოპმიოლერი ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს, ქართველი მეკარეების შესაძლებლობების მჯერა და ამ ეტაპზე, უცხოელ მეკარეს არ მოვიწვევთო. რამდენიმე ამხანაგური მატჩის შემდეგ ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა რუსეთის მოქალაქე ალექსანდრე ჩიხრაძის მიწვევა გადაწყვიტა, მაგრამ ფორმალური მხარის ვერმოგვარების გამო იდეა ვერ განხორციელდა. კარგია, რომ მწვრთნელი არ გაჯიუტდა და თავისივე ნათქვამი გადათქვა, მაგრამ ამასობაში დრო რომ დაკარგა და მეკარის პრობლემა კვლავაც მწვავეა, ეს ვის უნდა მოვკითხოთ? ჩნდება ეჭვიც, რომ ტოპმიოლერი ნაკრების ფეხბურთელების გარდა სხვა ქართველებსაც უგდებს ყურს და, შესაძლოა, მათ უთხრეს ტოპის, რომ საქართველოს საერთაშორისო დონის მეკარე არის.

## დავეწიოთ და გავასწროთ... მაკედონიას

ნაკრები და კლუბი — ეს ორი განსხვავებული სპეციფიკაა და ხანდახან ორივეს ერთნაირად კარგად მწვრთნელი კი არა, ფეხბურთელიც ვერ ერგება. ტოპმიოლერი საქართველოში არ ცხოვრობს და ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს, ფაქტობრივად, არ ესწრება. მეტიც, როცა „ამერი" უეფას თასზე ბერლინში ეთამაშებოდა „ჰერტას", ტოპმიოლერმა არც იმ მატჩზე ისურვა დასწრება. რა თქმა უნდა, ქართულ გუნდებში სანაკრებო ფეხბურთელების მოძიება ძალიან ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი. იოჰან ბოსკამპმა სწორედ საქართველოს ჩემპიონატში მოძებნა ზურაბ ხიზანიშვილი და ოთარ ხიზანეიშვილი. თბილისის „დინამოში" თამაშობდა 19 წლის კახა კალაძეც, როცა ცხრა წლის წინ ითამაშა იტალიის ეროვნულ ნაკრებთან და, ფაქტობრივად, თამაშიდან გამოთიშა კრისტიან ვიერი. ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ხანდახან ტოპმიოლერის თანაშემწე რალფ მინგე ესწრება და, ცხადია, ინფორმაციას აწვდის უფროსს, მაგრამ ფეხბურთელთა სელექცია ხომ ისეთი შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც მთავარი მწვრთნელი უშუალოდ უნდა იყოს ჩართული.

ტოპმიოლერთან ერთად საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატი სლოვენიელი სრეჩკო კატანეცი იყო და არ იქნება სასიამოვნო, თუ კატანეცის გაწვრთნილი მაკედონია შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრებზე უფრო წარმატებულად გამოვა — კატანეცმა მანამდე სლოვენიის ნაკრების მწვრთნელობისას დაამტკიცა, რომ სანაკრებო სპეციფიკაში კარგად ერკვევა, ტოპმიოლერს კი ეს ჯერაც დასამტკიცებელი აქვს.

წმინდა საფეხბურთო ასპექტებს რომ შევეშვათ, ტოპმიოლერი მსუყე ჯამაგირს ქვეყნის ბიუჯეტიდან იღებს და საქართველოში ცხოვრებისა და ჩვენი ეროვნული ჩემპიონატისადმი მისი ასეთი გულგრილი დამოკიდებულება დადებით იმპულსებს ნამდვილად არ იწვევს.

## რა დროს ტოლერანტობაა

იტალიასთან მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ტოპმიოლერმა დაიჩივლა, ჩვენი ნაკრების ფეხბურთელები ბევრ ბარათებს იმიტომ იღებენ, რომ ფიზიკურ მომზადებაში მოიკოჭლებენ და ზოგიერთს სათამაშო პრაქტიკა არ აქვსო. რუსეთი, უკრაინა, გერმანია, ინგლისი, იტალია და ჰოლანდია — ნაკრების ფეხბურთელები ამ ქვეყნებში თამაშობენ და ნუთუ იქ ფიზიკურ მომზადებას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ? და თუ ბარათები უთამაშებლობის ბრალიცაა, იქნებ ღირდეს იმათი ნახვაც, ვინც საქართველოს ჩემპიონატში თამაშობს...

7 ოქტომბერს ლუკაშ პოდოლსკი ზურაბ ხიზანიშვილთან განზრახ უხეშობისთვის გააძევეს და ყველა გერმანულმა გაზეთმა პოდოლსკის უდაბლესი შეფასება დაუწერა. გერმანული პრესა ეჭვობდა, რომ იოახიმ ლიოვი საქართველოსთან გაძევების გამო პოდოლსკის 11 ოქტომბერს შესარჩევი ეტაპის მატჩში სლოვაკეთთან საერთოდ არ ათამაშებდა. ლიოვმა საქართველოსთან მატჩის შემდეგ მწვავედაც გააკრიტიკა პოდოლსკი.

იტალ ისთან მატჩში ჯაბა კანკავას გა ქვებამ კი ჩვენს ნაკრებს ყელში ღანა გამოუსვა, ხოლო ტოპმიოლე მა თქვა, მსაჯს კანკავა არ უნდა გაეძევებინაო. გულშემატკივარმა სულაც ტაში დაუკრა გაძევებულ კანკავას. ზოგადად, ტოლერანტობა კარგია, მაგრამ რაც საფეხბურთო სამყაროში წესი და კანონია, იმას ალბათ არ უნდა ჩამოვრჩეთ.



## ვის და რატომ?

ტოპმიოლერს სანაკრებო შანსი ჯერ არ მიუცია დავით სირაძისთვის და ლადო ბურდულისთვის, რომლებიც ახლა თავიანთი კლუბების ძირითად შემადგენლობებში დამკვიდრებულნი არიან. საკმაოდ სანდო წყაროდან შევიტყვეთ, რომ ერცგებირგეს აუე-ს მწვრთნელი გერდ შედლიხი ბოლო დროს კარგ რეკომენდაციას უწევს სირაძეს ნაკრების მწვრთნელებთან, მაგრამ ტოპმიოლერმა სირაძე არც მაშინ გამოიძახა, ნაკრებს ორი წამყვანი თავდამსხმელი — გიორგი დემეტრაძე და შოთა არველაძე — რომ აკლდა.

საქართველოს ნაკრებს ფლანგებზე განსაკუთრებულად რომ უჭირთ, ეს ბოლო ორ შეხვედრაშიც ძალიან კარგად გამოჩნდა. ტოპმიოლერი ბურდულს, ვისზე სწრაფი შუახაზელიც ნამდვილად არ გვყავს, ამხანაგური მატჩებისთვისაც კი არ იწვევს, მისი თამაში ერთხელ მაინც რომ ნახოს და იწვევს მათ, რომელთაც სათამაშო პრაქტიკა არ აქვთ.

ვის და რატომ უჯერებს ტოპმიოლერი?

**დავით თავართქილაძე**




**კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დანიშვნისთანავე იქცა პოპულარულ კაცად და თითქოს მაქსიმუმსაც კი წურავს არსებული მდგომარეობიდან, მაგრამ საჭოჭმანო და საკამათოც ბევრია. მაგალითად, რატომ არ ესწრება ჰერ კლაუსი საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს, რატომ იწვევს უთამაშებელ ფეხბურთელებს და ასე შემდეგ... მოკლედ, გასარკვევ-გასარჩევი ბევრია, თუმც საინტერესოა, რას ფიქრობს ტოპი იტალიასთან გუშინწინდელი მატჩის შემდეგ — მას გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში შევხვდით...**

**— ნაკრებს პროგრესი ეტყობა ამას ვერსად გავექცევით, მაგრამ უკვე ზედიზედ მეოთხე მატჩი წავაგეთ...**

— ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში ვართ. სამწუხაროდ, დრო ძალიან ცოტა გვქონდა. მიზეზთა გამო ბევრი ფეხბურთელი ვერ ახერხებდა შეკრებაზე ჩამოსვლას. მიმაჩნია, რომ იტალიასთან საქართველოს ნაკრებმა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. მსოფლიოს ჩემპიონებს კარგად ვეთამაშეთ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა. სათქმელია ისიც, რომ ჯერჯერობით ვერ შევძელით საუკეთესო შემადგენლობის შეკრება. ახლაც გუშინდელი თამაშის განხილვით ვარ დაკავებული და თვალშისაცემია მსაჯთა რამდენიმე გაუგებარი გადაწყვეტილება — მაგალითად, წითელი ბარათი, რომელიც არ ყოფილა ან ძალიან საკამათო იყო. პირლოს წინააღმდეგ უხეშობა არ ყოფილა. სხვათა შორის, მისითაც იმედგაცრუებული ვარ. ისეთ ვარსკვლავს, როგორიც პირლოა, უნდა ენიშნებინა მსაჯისთვის, რომ კანკავას მასთან არ უუხეშია, იგი მხოლოდ ბალახზე გასრიალდა. იტალიელებს ყველა იცნობს და ყველამ ყველაფერი იცის მათი პროვოცირებების შესახებ. შემიძლია, მთელი რვეული გაჩვენოთ წინა თამაშებში მათი პროვოკაციებსა და ამის შედეგად მიღებულ ჯარიმებზე. სწორედ ის იწვევს ჩემს აღშფოთებას, რომ ისეთი დონის არბიტრები, როგორებიც გუშინ იყვნენ, ამაზე წამოეგნენ. შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე პირლომ და კამორანეზიმ შაშიაშვილის პროვოცირება მოახდინეს და აქაც ყვითელი ბარათი მივიღეთ. ჩანდა, იტალიელთათვის ღირსეული მეტოქენი ვიყავით და მათ როგორმე უნდა შევეჩერებინეთ — ეს მოახერხეს კიდეც. თამაშამდე არბიტრს ვესაუბრე და ავუხსენი, რომ რვა კაცი გვაკლდა, მან თანაგრძნობა გამოხატა, რაც თამაშში ნამდვილად არ შეიმჩნეოდა. ალბათ ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა, მსაჯთა მხრიდან ყველაფერს თავისი სახელი რომ დარქმეოდა.

**— მიგაჩნიათ, რომ ასეთი შემადგენლობით მაქსიმუმი გაკეთდა?**

— მთელმა გუნდმა გულიანად და ბოლომდე იბრძოლა, თუმცა ძალიან ბევრი ტაქტიკური შეცდომა დავუშვით — ძალიან მაბრაზებს, როცა ფეხბურთელებს სამჯერ ერთი და იმავეს ვუხსნი, მაგრამ მოედანზე იგივე შეცდომა მეორდება. ბევრი ტაქტიკური ცვლილება მოვახდინეთ, მეტოქის კართან მისაახლოვებლად თავს არ ვზოგავდით, მაგრამ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა გვიჭირდა. მიმაჩნია, რომ გამოსასწორებელი ბევრია, მაგრამ ნამდვილად სწორ გზაზე ვდგავართ. არველაძეს, მუჯირს და ასათიანს რომ ეთამაშათ, დარწმუნებული ვარ, ამ თამაშს მოვიგებდით. საქართველო პატარა ქვეყანაა და არჩევანიც ცოტაა — გვყავს რამდენიმე მსოფლიო დონის ფეხბურთელი, მაგრამ მათგან თუ ვინმე დაგვაკლდა, პრობლემები გვექმნება. როცა მეტოქე მსოფლიოს ჩემპიონია და დასაწყისშივე უშვებ გოლს, ძალიან ძნელია თამაშის მოგება.

**— ვის გამოარჩევდით ჩვენი გუნდიდან?**

— მინდა, ცქიტიშვილის ძალიან კარგი თამაში და თავდადება აღვნიშნო. მან როსტოკში, გერმანიასთან მატჩში ტრავმა მიიღო, თავი გაკერილი ჰქონდა, მაგრამ არაფერი დაუზოგავს, პირიქით, მთხოვა, მისთვის თამაშის უფლება მიმეცა და იტალიასთან ნამდვილად საუკეთესო იყო.

**— იტალიამ სამჯერ დაარტყა კარში და სამივე გაიტანა...**

— საიდუმლო არავისთვისაა, რომ მეკარე ჩვენი უდიდესი პრობლემაა.

**— მარტამდე შესარჩევი მატჩი აღარ გვაქვს. ხომ არ ეცდებით იქამდე უცხოელი მეკარის ჩამოყვანას?**

— ეს ძალიან რთული პროცედურაა. ალბათ ძნელია ისეთი ვინმეს პოვნა, ვინც საქართველოს მოქალაქეობას მიიღებს. ახლო მომავალში ამაზე ფიქრი არაფერს მოგვცემს. ჩვენ უნდა შევძლოთ ლომაიათი, რევიშვილით, ჭანტურიათი და სხვებით ფონს გასვლა. ძიებას კვლავ გავაგრძელებთ.

**— საკმაოდ მოულოდნელი იყო ძირითადში გიორგი შაშიაშვილის გამოჩენა. მისით კმაყოფილი ხართ?**

— მათე ღვინიანიძის ტრავმამ დიდი პრობლემა შეგვიქმნა. ბოლო წუთამდე ვფიქრობდი დაცვის ხაზზე და სხვა გამოსავალი რომ არ იყო, შაშიაშვილი მარცხენა ფლანგზე დავაყენე. მან კარგად ითამაშა და ულამაზესი გოლიც გაიტანა.

**— იტალიელთა შეტევები უფრო მარჯვიდან იყო — ორი გოლი სწორედ იქედან გაგვიტანეს...**

— მიმაჩნია, რომ ეს მხოლოდ დამთხვევა იყო და მეტი არაფერი. მარჯვნივ ძალიან კარგად ვიდექით ხიზანიშვილმა სწრაფი დი ნატალეს წინააღმდეგ საიმედოდ ითამაშა. მართალია, ძამბროტამ ერთხელ საკმაოდ მწვავედ შემოგვიტია და ზედიზედ დავუშვით შეცდომები, მაგრამ ამაზე მარცვალაძეა პასუხისმგებელი. იგი ძალიან ახლოს იყო დე როსისთანაც პირველი გოლის დროს, მაგრამ ვერ შეძლო მისი შეჩერება. ეს ის ტაქტიკური შეცდომებია, რომლებზეც ბევრია სამუშაო.

**— საფრანგეთთან თამაშის შემდეგ გვითხარით, რომ თქვენს გუნდს ზედმეტი პატივისცემა ჰქონდა მოწინააღმდეგის მიმართ...**

— გუშინდელი თამაშისთვის უფრო მეტი დრო გვქონდა მოსამზადებლად. ისიცაა, რომ იტალიამ საკმაოდ ცუდი სტარტი აიღო ამ შესარჩევში, თუმცა მათ ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ, ისე ნამდვილად ვერ გახდებოდნენ მსოფლიოს ჩემპიონები. კალჩოპოლის სკანდალის შემდეგ ნელ-ნელა ლაგდებიან და გუშინ აშკარად ემჩნეოდათ, რომ თავს უკვე გამარჯვებულად გრძნობდნენ, რადგანაც საქართველოს ეთამაშებოდნენ. ამის მიუხედავად, ბიჭებმა ბოლო წუთამდე თავგამოდებით იბრძოლეს და მსაჯის შეცდომები რომ არა, გაცილებით მეტი შანსი გვექნებოდა. მგონი, ნაკრების თამაშით გულშემატკივარიც არ დარჩა უკმაყოფილო. ჩემთან მოვიდა პარლამენტის თავმჯდომარე, რომელმაც მომილოცა გუნდის თამაში. ეს დღეებია, ქალაქში, სასტუმროში თუ რესტორანში ყველა გვაჩერებს მე და ჰაინცს, კომპლიმენტებს გვეუბნებიან გუშინდელი თამაშისა და 19-წლამდელთა წარმატებისთვის. ფანებიც ხვდებიან, რომ წინ მივიწევთ, ბიჭები თავს არ ზოგავენ და მალე შეცდომებს გამოვასწორებთ. მომდევნო თამაში მხოლოდ ფანებს უნდა მივუძღვნათ და აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

**— თავს, ასე ვთქვათ, უიღბლო მწვრთნელად მიიჩნევთ?**

— ახლა ნამდვილად ასეა. ყველაზე მეტად ამდენი ტრავმირებული მაშფოთებს — ჯერაც ვერ შევძელი საუკეთესო შემადგენლობის შეგროვება. ისე ჩანდა, გერმანიის წინააღმდეგ პირველად უნდა მყოლოდა ყველა საუკეთესო, რათა მთელი გერმანიისთვის დამემტკიცებინა, რომ საქართველოს ჰყავს ძალიან კარგი ფეხბურთელები, რომლებიც არავისზე ნაკლებად არ თამაშობენ და სწორედ მაშინ ვიგებ, რომ ვერ ითამაშებს ასათიანი, ტრავმირებულნი არიან არველაძეც და მუჯირიც. ეს სამი უკვე გამოირიცხა და ისიც ვიცით, რომ იტალიასთან კობიაშვილი, გოგუა და დემეტრაძე ვერ დაეხმარებიან ნაკრებს — ეს ნამდვილი კატასტროფა იყო.

**— ადრე გვითხარით, რომ ამ შესარჩევში ბიჭებს აქვთ საოცნებო. იტალიასთან მატჩის შემდეგ ეს ოცნებები ხომ არ დაიმსხვრა?**

— არა, არა და არა! ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რომ ჯგუფიდან გასვლა ძნელი იყო, მაგრამ გვაქვს იმის შანსები, რომ წინ წავიწიოთ. უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება, ბევრი თამაში მოვიგოთ და თუ ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელად გვეყოლება, მერე ნამდვილად შევძლებთ თავის გამოჩენას და აღარ გვექნება სანერვიულო, ვინ იქნება ჩვენი მეტოქე.

**— ანუ მომდევნო მატჩებში უკვე 2010 წლის მსოფლიოს შესარჩევზე გააკეთებთ აქცენტს?**

— ასეა. გამოვცდით ახალ ფეხბურთელებს. იმათი შერჩევა, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებში გამოგვადგება, უკვე დავიწყეთ. გამოძახებული გვყავდა ისეთი მოთამაშეებიც, რომლებიც მანამდე არ მინახავს, მაგალითად, მოდებაძე. აშვეთიამაც პირველად ითამაშა ძირითადში. აქედანვე უნდა დავიწყოთ მომავალი შესარჩევისთვის მზადება, რადგან ყველა მოთამაშეს კარგად უნდა ვიცნობდეთ. იქ უკვე შეცდომების დაშვების უფლება აღარ გვექნება.

**— ტოპმიოლერი საქართველოს ჩემპიონატს არ ესწრება — აქ არ გეგულებათ ნაკრებისთვის საჭირო ან პერსპექტიული ფეხბურთელები?**

— ჩვენ აქ საკმაოდ ბევრი მატჩი ვნახეთ. თითქმის ყველა გუნდის თამაშზე ვიყავით და რამდენიმე თამაში საერთოდ კატასტროფა იყო. ჩვენი საბჭოც იმ აზრზეა, რომ აქ დაკვირვება აღარ არის საჭირო — მხოლოდ დროის ფუჭი ხარჯვაა და მეტი არაფერი. ყველა კარგი მოთამაშე უკვე საზღვარგარეთ თამაშობს. სამწუხაროა, მაგრამ ასეა. კატასტროფაა ისიც, რომ ჩვენი ჩემპიონატიდან კარგ გუნდებში მოხვედრილთათვის ნახტომი იმდენად დიდია, რომ დატვირთვას ველარ უძლებენ. მაგალითად, მარცვალაძე და ბევრი სხვაც სათადარიგონი არიან და იმედოვნებენ, რომ როდესმე ძირითადში ითამაშებენ. ეს კი მათ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ძალიან ცუდად მოქმედებს... მწვერვალი ნაბიჯ-ნაბიჯ მიიღწევა, ისე, როგორც კალაძის შემთხვევაში იყო. თუნდაც ღვინიანიძე ვთქვათ — მართალია, მეორე ბუნდესლიგაშია, მაგრამ მუდმივად თამაშობს და ასე უფრო ადვილია წინ წაწევა, ვიდრე სკამზე ჯდომით.

**— შოთა არველაძე მომდევნო შესარჩევში ალბათ აღარ ითამაშებს. როგორ ამ დანაკლისის შევსებას?**

— შოთა ნაკრების საუკეთესო თავდამსხმელია და მისი შემცვლელის პოვნა ძნელი იქნება. სანამ პროფესიონალი გახდები, წინ მძიმე სამუშაო გელის — ამის გაგება ბევრ ქართველ ფეხბურთელს უჭირს, ისინი მხოლოდ შესაძლებლობის ნახევარს აკეთებენ და თამაშიც სანახევრო გამოსდით. თავს არ იწუხებენ ფიზიკურ მომაგრებასა და ტრენაჟორებზე ვარჯიშით, არადა, ეს დღევანდელ ფეხბურთში აუცილებელია. ეს უდიდესი პრობლემაა, სწორედ ამაზე ვმუშაობთ ახალგაზრდებთან, რათა თავიანთი თავის პატივისცემა ისწავლონ. მხოლოდ დიდი ძალისხმევით შეიძლება თამაშის მოგება. ჩვენი ფეხბურთელები კი ძალიან კომფორტულად ცხოვრობენ და ერთხელ მიღწეულით კმაყოფილდებიან — ეს კატასტროფის ტოლფასია.

**— ნოემბერში ურუგვაისთან ამხანაგურ მატჩში ახალ ფეხბურთელებს გამოიძახებთ?**

— რა თქმა უნდა, რამდენიმე ფეხბურთელს გამოვცდით, მათ შორის, ალბათ, რამდენიმე 21-წლამდელიც იქნება.

**— რამდენ ხანს დარჩებით აქ და რას აპირებთ ნოემბრამდე?**

— ჯერჯერობით საქართველოში ვრჩები, რათა 17-წლამდელთა შესარჩევ თამაშებს დავესწრო. ალბათ, ჩემპიონატის რამდენიმე თამაშსაც ვნახავ. ლეგიონერებსაც დავაკვირდები — „ფრაიბურგში" ხიზანეიშვილის თამაშის ნახვა მინდა, რუსეთსა და უკრაინაში მოთამაშე ლეგიონერებიც მაინტერესებს... ასე რომ, მომდევნო თამაშამდე ძალიან ბევრი შეხვედრა და სამუშაო მაქვს.

**ნინო სილაგაძე**

*კლაუს ტოპმიოლერი ინტერვიუში ამბობს, რომ საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე დასწრება დროის ტყუილუბრალოდ კარგვაა. ვფიქრობთ, ეს საკმაოდ საკამათო მოსაზრებაა, რომლის გარშემოც დისკუსიის გამართვა ურიგო არ იქნება, პირიქით, აუცილებელიც არის. ერთი სიტყვით, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის საქართველოს ჩემპიონატისადმი დამოკიდებულებაზე, სელექციასა და სხვა საკითხებზე მსჯელობას „სარბიელი" კიდევ მიუბრუნდება.*

## geo_geo_fan@hotmail.com

იოლი საქმეა — კლაუს ტოპმიოლერის მწვრთნელობისას საქართველოს ნაკრების თამაშების მერე გულშემატკივართა განწყობა თითქმის ერთნაირია — დასანანი შეცდომა, ის ბურთი რომ გასულიყო, ეს ფეხბურთელი რომ გვყოლოდა... მოკლედ, იღბალი, იღბალი სჭირდება ჩვენს ეროვნულ გუნდს. ასეთი წერილები მივიღეთ ნაიტალიევსაც და, ბუნებრივია, ვაქვეყნებთ კიდეც...

**GEORGE-GEO**: სალოლ ბიჭები! მე „ღირსეული" წაგება არ მიხარია. უბრალოდ, ამბობენ, რომ იღბალი ძლიერს უმართლებთ და ასეც მოხდა. ჩვენ კი კარგად ვიომეთ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მიუხედავად დანაკლისისა, სასურველი შედეგით ვითამაშებდით, თუმცა ის ეპიზოდი ნებისმიერი შემადგენლობისთვის საბედისწერო იქნებოდა. კონკრეტული ფეხბურთელი არაფერ შუაშია, მის ადგილზე სხვაც შეიძლება ყოფილიყო. უბრალოდ, იტალიელებს გაუმართლათ და მორჩა. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ მხოლოდ ამის გამო წავაგეთ, მაგრამ მესოპოტამიურია იღბალი, ტანგანიკური თუ იტალიური, იღბალი — იღბალია. ემოციები სჭარბობს და დეტალურად თამაშის გარჩევას აზრი არა აქვს. ერთი რამე ნაღდია, იტალიას „ჩვეულებრივი" ინიციატივა ჰქონდა, როგორიც უნდა ჰქონდეს გოლიათს დავითის წინააღმდეგ, არაფერი განსაკუთრებული. ისე, რა შიში ვაჭამეთ მსოფლიოს ჩემპიონს, ერთ რამედ კი ღირდა ამის ნახვა.

P.S. არ შემიძლია, ეს არ დავწერო. რა იქნება, რომ თამაშის წინ საქართველოს ჰიმნი „ცოცხალი" სოლისტის ან „ფონოგრამული" გუნდის გარეშე შეასრულონ. როგორ ვერ ხვდებიან, რომ 50 000 „უსმენო" გულშემატკივრის მკერდიდან ამოხდენილი სიმღერა უფრო მეტ მუხტს იძლევა. ეტყობა, არ სჯერათ, რომ ჩვენ ვიმღერებთ, მიუხედავად დიქტორის თხოვნისა, შევასრულოთ ჰიმნი (ერთი სირცხვილი) და ტაბლოზე წასაკითხი სიტყვებისა (საერთოდ თავის მოჭრა).

**MEZVRO**: თამაში — 4, ქულა — 3, ადგილი — 6, არ ვიმსახურებთ ჩვენ ამ განაჩენს, ქულის გასწვრივ უფრო დიდი რიცხვი უნდა ეწეროს, ხოლო ადგილის გასწვრივ — ერთი-ორით ნაკლები. მაგრამ... აღარ ვიცი, ამ მაგრამს როდემდე ვერ მოვიცილებთ.

თამაშს რაც შეეხება, პირველი გოლისას ისევ რატომღაც თავისუფლად დაარტყმევინეს ჩვენებმა მოწინააღმდეგეს, ფრანგებთან და გერმანელებთან თამაშისა არ იყოს, ნახევარმცველმა რატომ არ აიწია დასაფარებლად, არ ვიცი. მერე კი, ყოჩაღ ბიჭებს! 1:1-ზე რა დამავიწყებს გაქვავებულ ბუფონს და ვაი, რომ ძელიდან გარეთ გამოვარდა ბურთი, არადა...

60 წუთის მერე კი აღარც მინდა რამის გახსენება, კანკავას გაძევება არ გვეყოფოდა გულის გასახეთქად, გოლიც ეგრევე მივიღეთ და რა გასაკვირია, 10-კაცა ნაკრები ამის მერე რომ აირია...

ისე, ცქიტომ ზღაპრულად ითამაშა, ყველაზე გამორჩეულად ეგ დამამახსოვრდა ჩვენიანებიდან. მადლობა ბიჭებს, მადლობა ტოპის, დავიწყებულია ეს წაგებათა ციკლი, მჯერა უკეთესი მომავალი გველის.

**GIO81**: რა ვთქვა, არ ვიცი, რა კარგად ვთამაშობდით კანკავას გაძევებამდე, მეორე ტაიმი კარგად დავიწყეთ, ძალიან კარგადაც, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონთან რომ კაცს გაგიძევებენ, მერე ძნელია სასურველი ანგარიშის შენარჩუნება, არადა, მოგების შანსი ნაღდად გვქონდა. კანკავასი გამკვირვებია, რა რჯიდა, მოედნის ცენტრში რომ მიიღო ყვითელი ბარათი. მსოფლიოს ჩემპიონის წინააღმდეგ გვაკლდა 6 წამყვანი ფეხბურთელი, მაგრამ მაინც კარგად ვითამაშეთ, ზოგ მომენტში ვჯობდით იტალიელებს, განსაკუთრებით კანკავას გაძევებამდე. დისკვალიფიკაციებს და ტრავმებს დაემატა გაძევება და თამაშის ბოლო 15-20 წუთიც ნორმალურად ვითამაშეთ, ნელ-ნელა პროგრესი სახეზეა, თვალნათლივ ჩანს ეს. სამწუხაროა, ჯერ რომ ვაგებთ, მაგრამ დარწმუნებული, ვარ მოგებებიც მოვა, აუცილებლად მოვა, მით უმეტეს, მსოფლიოს გრანდებთან მატჩები გადავაგორეთ, თან ისე, რომ ნაკრები ოპტიმალური შემადგენლობით ვერა და ვერ შეკრიბა ტოპმიოლერმა. ახლა შოტლანდია და ლიტვა მოდის და, დარწმუნებული ვარ, ამ თამაშებს კარგად ვითამაშებთ იმიტომ, რომ გუნდს ეტყობა მწვრთნელის ხელი. ამ შესარჩევში გუნდი აეწყობა, შეათამაშებს ფეხბურთელებს ტოპმიოლერი, დროთა განმავლობაში ბოლომდე მიიტანს თავის იდეებს ფეხბურთელამდე და გაგვიღიმებს ბედი და ყველა ფეხბურთელი მწყობრში გვეყოლება.

კიდევ მინდა ვთქვა: კლაუს ტოპმიოლერის თავკაცობით ჩვენი ნაკრები კარგად ათამაშდება, ცოტა დრო და ცოტა იღბალიც საჭიროა ამისთვის. იმედია, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ცოტა იოლი ჯგუფი შეგვხვდება. წერილის დამთავრება მინდოდა, მაგრამ თვალწინ მიდგას ხიზანიშვილის დარტყმული და ძელს მოხვედრილი ბურთი. პირველი ტაიმის მოგებაც შეიძლებოდა და მეორისაც, რომ არა ის ძელი და რომ არა უადგილო და უაზრო გაძევება. ამის გარდა სხვა მომენტებიც გვქონდა და მომავალში აუცილებლად მოვიგებთ თამაშებს, მოგებებისთვის მწიფდება ჩვენი უპირველესი გუნდი. გული მიგრძნობს, რომ ოპტიმალური შემადგენლობით მსოფლიოს ჩემპიონატზე გავალთ!

მეკარეზე კი არაფერს ვიტყვი, დავიღალე ამაზე ლაპარაკით...

დროებით, მოგებამდე.

geo_geo_fan@hotmail.com

### 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
### ჩვენი მეტოქეები

# შოტლანდია სმიტმა გაშიფრა

**უკრაინა 2:0 შოტლანდია**
1:0 კუჩერი (60), 2:0 შევჩენკო (90პ)
**უკრაინა**: შოვკოვსკი, სვიდერსკი, კუჩერი, რუსოლი, ნესმაჩნი, ო. გუსევი (მილევსკი 62), ტიმოშჩუკი, შელაევი, კალინიჩენკო (ვორობეი 76), შევჩენკო, ვორონინი (შერშუნი 90)
მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი
**შოტლანდია**: გორდონი, ალექსანდერი, გ. კოლდუელი, ნეილსონი (მაკმანუსი 89), პრესლი, ვეირი, ფერგიუსონი, ფლეტჩერი, ჰარტლი, მაკფადენი (ბოიდი 73), მილერი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: მაკფადენი, ფლეტჩერი, კუჩერი, ნეილსონი
გაძევება: პრესლი (86)
მსაჯი: მარტინ ჰანსონი (შვედეთი)
55 000 მაყურებელი

**ოთხი** დღის წინ შოტლანდიამ შინ საფრანგეთი კი გააკრა ბეჭებზე, მაგრამ უკრაინაში ფეხი დაუცდა — სქოთებმა ზედმიწევნით დაცვითი ტაქტიკა აირჩიეს.

თვალისმომჭრელად არც უკრაინას უთამაშია — ოლეგ ბლოხინის გუნდმა ორივე გოლი სტანდარტული სიტუაციიდან გაიტანა.

ალექსანდრ კუჩერი პირველ მატჩს ატარებდა ეროვნულ ნაკრებში და დებიუტი მართლაც წარმატებული გამოუვიდა — ანდრეი შევჩენკოს ჩაწოდებულ ჯარიმას რიკოშეტი მოჰყვა, ბურთი კუჩერს მიუვიდა და 1:0.

შოტლანდიას გათანაბრების არცთუ ურიგო შანსი ჰქონდა, მაგრამ სელტიკელმა კენი მილერმა თავური ოდნავ ააცილა კარს. ისე, თუ საგოლე მომენტებზე მიდგა საქმე, უკრაინა ამაშიც აღემატებოდა მეტოქეს.

„ჯერ მთელი გუნდით კონცენტრირებული ვართ დაცვაზე და, როცა მეტოქეს ნირი წაუხდება უშედეგო შეტევებით, მერე კონტრიერიშზე გადავდივართ — ასეთია ჩვენი ტაქტიკა, რომლითაც დღესაც შეგვეძლო გვესარგებლა, მაგრამ სახიფათო მომენტები ვერ გამოვიყენეთ" — განაცხადა ნამატჩევს შოტლანდიელთა თავკაცმა უოლტერ სმიტმა.



ანდრეი შევჩენკომ ისევ გაიტანა

**დავით თავართქილაძე**

# მამლები ისევ ქანდარაზე ჩამოსხდნენ

**საფრანგეთი 5:0 ფარერები**
1:0 საა (2), 2:0 ანრი (22), 3:0 ანელკა (77), 4:0, 5:0 ტრეზეგე (78, 84)
**საფრანგეთი**: ლანდრო, სანიოლი (კლერკი 79), ტურამი, გალასი, ესკუდე, რიბერი, ვიეირა, ტულალანი, მალუდა, ანრი (ანელკა 61), საა (ტრეზეგე 61)
მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი
**ფარერები**: მიკელსენი, დანიელსენი, პ. ჰანსენი (კ. ნიელსენი 47), მორტენსენი, ბენიამინსენი, ე ბორგი (ფრედერიკსბერგი 87), დიურჰუუსი, თომასენი, კ. იაკობსენი, რ. იაკობსენი, სამუელსენი
მწვრთნელი: მარტინ ოლსენი
გაფრთხილება: დიურჰუუსი
მსაჯი: სორინ კორპოდინი (რუმინეთი)
19 314 მაყურებელი

**ფრანგების** ხუთივე გოლი ფორვარდებმა გაინაწილეს, მაგრამ ფარერელთა მეკარე იაკუპ მიკელსენს თავი რომ არ გაეგიჟებინა, ვინძლო, მიკაელ ლანდროს გარდა ყველა მასპინძელს გაეტანა — მათ შორის, ნაკრების დებიუტანტებს, ჟულიენ ესკუდესა და ჟერემი ტულალანს.

საცოდავი კუნძულელების დაბომბვა ლუი საამ პირველივე წუთზე დაიწყო, როცა ტიერი ანრის პასისას დაჰკრა საგოლედ. საწყის 10 წუთში „მანჩესტერის" თავდამსხმელს კიდევ ორჯერ უნდა გაეტანა, მაგრამ მიკელსენი კედელივით იდგა.

პირველ ტაიმში „მამლებმა" ერთიღა შეაგდეს — ვილი სანიოლის ჩაწოდებულს ანრიმ უთავაზა თავური.

რაიმონ დომენეკმა 61-ე წუთზე ნაკრებში თამაშმოწყურებული ფორვარდები შეიყვანა და მათაც სამი გოლი გამოაცხვეს შვიდწუთიან მონაკვეთში. ჯერ ნიკოლა ანელკამ იხეირა ფლორენ მალუდას კუთხურისას, მერე კი დავიდ ტრეზეგემ შეასრულა დუბლი.

საფრანგეთის ნაკრები მასხავით ცხრაქულიან შოტლანდიას ბურთების უკეთესი შეფარდებით უსწრებს.

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 11:2 | 9 |
| შოტლანდია | 4 | 3 | 0 | 1 | 9:3 | 9 |
| იტალია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| უკრაინა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ლიტვა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| საქართველო | 4 | 1 | 0 | 3 | 9:9 | 3 |
| ფარერები | 4 | 0 | 0 | 4 | 0:18 | 0 |

# კოტე 80

**გამოჩენილ** სპორტულ კომენტატორს და მსახიობს კოტე მახარაძეს 17 ნოემბერს 80 წელი შეუსრულდებოდა. ამასთან დაკავშირებით თბილისში, „ირაოს" მოედანზე 3-13 ნოემბერს მინი-ფეხბურთის ტურნირი გაიმართება — კოტე მახარაძის სახელობის თასზე 12 გუნდი ითამაშებს — მეტწილად მასმედიის და თეატრალური სამყაროს წარმომადგენლები.

გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში" ტურნირის პრეზენტაცია მოეწყო და წილისყრაც გაიმართა. ღონისძიებას კოტე მახარაძის მეუღლე სოფიკო ჭიაურელიც დაესწრო. ტურნირის ორგანიზატორები არიან კომპანია PSP და ხელოვნებისა და სპორტის საერთაშორისო ასოციაცია „გეორგია".

ტურნირში არაპროფესიონალი გუნდები კი ჩამებმებიან, თუმც თბილისის „დინამოს" ვეტერანთა გუნდს მთლად სამოყვარულო ალბათ არ ეთქმის.

წილისყრის შედეგები კი ასეთია:

**A ჯგუფი**
დინამო, სარბიელი, მზე, სოხუმის თეატრი

**B ჯგუფი**
საზოგადოებრივი მაუწყებელი, პანტომიმის თეატრი, რუსთავი 2, სპორტის სიახლენი

**C ჯგუფი**
თავისუფალი თეატრი, 24 საათი, იმედი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი.




**დავით თავართქილაძე**

## საქართველოს ჩემპიონატი
### პირველი ლიგა
### I წრე. 10 ტური

**დინამო 2 6:0 გურია**
**ნ. დინამოელი 1:3 მგლები**
**მესხეთი 4:0 სპარტაკი**
**რაჭა 2:1 ამერი 2**
**გაგრა 2:1 მეშახტე**
**ზესტაფონი 2 2:1 ჩიხურა 2**
**სამტრედია 0:3 ოლიმპი**
**მერცხალი 0:0 ვიტ ჯორჯია 2**
**მაღაროელი 1:1 მეშაქრე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მგლები | 10 | 9 | 1 | 0 | 20:3 | 28 |
| მესხეთი | 10 | 7 | 2 | 1 | 21:6 | 23 |
| ნ. დინამოელი | 10 | 6 | 1 | 3 | 16:9 | 19 |
| გაგრა | 10 | 6 | 1 | 3 | 15:8 | 19 |
| ოლიმპი (თბ) | 10 | 5 | 2 | 3 | 16:10 | 17 |
| მეშაქრე | 10 | 4 | 4 | 2 | 11:10 | 16 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 10 | 4 | 3 | 3 | 19:7 | 15 |
| დინამო 2 | 10 | 4 | 2 | 4 | 16:9 | 14 |
| სპარტაკი | 10 | 4 | 1 | 5 | 8:13 | 13 |
| ზესტაფონი 2 | 10 | 3 | 4 | 3 | 9:11 | 13 |
| ჩიხურა 2 | 10 | 3 | 3 | 4 | 9:11 | 12 |
| მეშახტე | 10 | 3 | 2 | 5 | 13:15 | 11 |
| მაღაროელი | 10 | 2 | 5 | 3 | 11:11 | 11 |
| სამტრედია | 10 | 2 | 4 | 4 | 14:21 | 10 |
| მერცხალი | 10 | 2 | 3 | 5 | 8:17 | 9 |
| რაჭა | 10 | 2 | 2 | 6 | 9:22 | 8 |
| ამერი 2 | 10 | 1 | 4 | 5 | 9:15 | 7 |
| გურია | 10 | 0 | 2 | 8 | 6:29 | 2 |







კანტამესამ კაკას შეიძლება სკუდეტო ჩაახუტოს

# სკუდეტოა თუ ალავერდი?

## იუვესგან ინტერს, ინტერისგან მილანს

**წინა** სეზონის სკუდეტო „ინტერს" რომ გადასცეს, კარგად მოგეხსენებათ. „მილანის" ხელმძღვანელობა კი ახლა ითხოვს, „ნეროაძურის" ჩამოართვან და „როსონერის" მიაკუთვნონ.

საქმე ისაა რომ, „იუვენტუსი", „ლაციო", „ფიორენტინა" და „მილანი" იტალიის ოლიმპიური კომიტეტის საარბიტრაჟო სასამართლოში შეტანილი აპელაციის განაჩენს ელიან, რომელიც, ალბათ, თვის ბოლოსთვის გახდება ცნობილი. ეს კლუბები მინუს ქულების მოშორებას ითხოვენ და თუ მათი მოთხოვნა დააკმაყოფილეს, რაც არარეალური სულაც არ არის, „მილანი" გასული სეზონის ცხრილში „ინტერის" წინ, ანუ პირველ ადგილზე აღმოჩნდება. ასე რომ, ლოგიკურად სკუდეტო „როსონერის" უნდა გადაეცეს და არა „ნეროაძურის".

„ჩვენ ბევრი არგუმენტი გვაქვს, რის გამოც ვთვლით, რომ მინუს ქულები უნდა ჩამოგვაშორონ. ასევე არ გვესმის, თუ რატომ მიიღო დისკვალიფიკაცია ადრიანო გალიანიმ. ასე რომ, აპელაციის შედეგს დიდი იმედით ველით. ოღონდ თუ არასასურველ ვერდიქტს მივიღებთ, სამოქალაქო სასამართლოში არ გავასაჩივრებთ, იტალიური ფეხბურთის წინააღმდეგ წასვლას და მისთვის პრობლემის შექმნას არ ვაპირებთ. 22 წელია, ამ სფეროში ვმუშაობ და სპორტის წესების წინააღმდეგ ერთხელაც არ მიმოქმედია. ამას არც ახლა გავაკეთებ. უბრალოდ, გული მწყდება, რომ პრესა ყველაფერს ცუდ ინტერპრეტაციას აძლევს" — აღნიშნა „მილანის" ადვოკატმა ლეანდრო კანტამესამ.

ამასობაში, „ინტერის" საწინააღმდეგო არგუმენტებს აგროვებს კლუბის ყოფილი ფორვარდი კრისტიან ვიერიც, რომელმაც გაიგო, რომ „ნეროაძურიში" ყოფნისას გუნდის პრეზიდენტ მასიმო მორატის დავალებით მას უთვალთვალებდნენ. ამაზე გაბრაზებული „ბობო" ერთგვარ შურისძიებას გეგმავს.

ვიერი აპირებს, იტალიის ფეხბურთის ფედერაციას მიმართოს მოთხოვნით, რომ „ინტერს" ჩამოართვან სკუდეტო. თუ კონკრეტულად რის საფუძველზე, ჯერ უცნობია. თავად კლუბს კი მოუწოდებს, ასეთ ტიტულზე თავად თქვით უარი, მას ფასი მაინც არ აქვსო.

ჩვენ კი „მილანს" დავუბრუნდეთ. ბრიტანული პრესის ცნობით, „როსონერის" დიდიე დროგბას შეძენა ისევ სურს და ამას ზაფხულში შეეცდება. კარლო ანჩელოტი და კომპანია ჯერ კიდევ ანდრეი შევჩენკოს სრულფასოვანი შემცვლელის ძიებაში არიან, რომელიც ამ ზაფხულს „ჩელსიში" გადავიდა და იქ ჯერჯერობით სწორედ დროგბას ჩრდილშია.

თავად დროგბას სურვილის შემთხვევაში შესაძლოა, „მილანმა" მისი შეძენა სულ რაღაც 4 მილიონ გირვანქად შეძლოს. ფიფას წესების თანახმად, ფეხბურთელს შეუძლია, თავისი კონტრაქტი გამოისყიდოს. ამ ფულს „როსონერი" დაფარავს და ცალკე დროგბას მოელაპარაკება. თუმცა კოტდივუარელს „ჩელსიდან" წასვლის დიდი სურვილი ჯერ არ ემჩნევა.

„გუნდში ბრწყინვალე ფორვარდები მოვიდნენ, მაგრამ მე ეს პრობლემას არ მიქმნის და მინდა, „ჩელსის" დავეხმარო" — თქვა 28 წლის დროგბამ.

„მილანის" ბრაზილიელ გამთამაშებელ კაკას კი სჯერა, რომ მალე მისი კლუბი სათანადოდ ათამაშდება. „როსონერის" ბოლო სამი მატჩი უგოლო ფრით დასრულდა, რამაც გუნდის გვარიანი კრიტიკა გამოიწვია.

კაკა: „ბოლო მატჩებში იღბალიც არ გვწყალობდა. ყველა შეხვედრაში უპირატესობა და გოლის გატანის შანსი გვქონდა, მაგრამ ვერ ვიხეირეთ. ცოტა რთული პერიოდი გვიდგას, მაგრამ მჯერა, ამას მალე გადავლახავთ. გუნდში მშვენიერი განწყობაა, რაც გვახარებს. მეც ნელ-ნელა სასურველ ფორმაში შევდივარ. მთავარია, მომდევნო მატჩებში ბოლომდე დავიხარჯოთ".

რიკარდო ოლივეირამ, კრისტიან ბროკიმ და ჯუზეპე ფავალიმ ინდივიდუალურად ივარჯიშეს, პაოლო მალდინიმ კი — გუნდთან ერთად. ოთხივე მათგანმა ტრავმა მოიშუშა. ისინი ალბათ შაბათს, „სამპდორიასთან" გასვლით შეხვედრაში სათამაშოდ მზად იქნებიან.

**გიორგი ძაძამიძე**

# დემბელე ციხეში ითამაშებს



**რომში** დაუჭერიათ ფრანგული „ოსერის" ყოფილი ფეხბურთელი, 20 წლის გარა დემბელე, რომელიც ღამის კლუბის საპირფარეშოში შევარდნია ამერიკელ სტუდენტ გოგოს და მასზედ ძალადობა დაუპირებია.

დემბელე რომის ტერმინის რკინიგზის სადგურზე მალევე დაუჭერიათ.

მას არ უარყვია, რომ კლუბში იყო და იქ ქალს გადაეყარა, თუმცა, ძალადობას არ აღიარებს. „ოსერმა" გამოაცხადა, რომ დემბელეს არასოდეს უთამაშია მის ძირითადში, ზაფხულში გუნდიდან წავიდა და მას შემდეგ რომელიმე იტალიურ კლუბში, „ტრევიზოში", „პერუჯაში", ან მთლად „ლაციოში" ცდილობდა მოწყობას.

# ესპანეთში ულვაშის მოშვებაზე ფიქრობენ

**როგორც ჩანს,** არგენტინასთან ამხანაგურ მატჩში გამარჯვებამ ლუის არაგონესის მოხსნის პროცესი მხოლოდ დროებით შეაჩერა. კასტილიელებმა პატაგონიელები მურსიაში 2:1 დაამარცხეს, მაგრამ ესპანეთში დონ ლუისის მწვრთნელობას მაინც ეჭვის თვალით უყურებენ. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია კვლავ მოხუცი დამრიგებლის გვერდითაა, თუმცა არაგონესის მწვრთნელობა ბეწვზე ჰკიდია. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ანხელ მარია ვილარს, ალბათ მალე მოუწევს მეგობრის მოხსნა და სხვა სპეციალისტის დანიშვნა.



მნიშვნელოვან მატჩებში წაგების გამო ინჩასთა მიერ მოძულებული არაგონესის შემცვლელად ძირითადად ოთხი მწვრთნელი მოიაზრება. ესენი არიან ესპანელები: ხოსე ანტონიო კამაჩო, ვისენტე დელ ბოსკე და მიგელ ანხელ ლოტინა, ასევე იტალიელი მარჩელო ლიპი.

კამაჩოს ნაკრებში დაბრუნებას ფეხბურთელები სავარაუდოდ კარგად შეხვდებიან. იგი „ფურია როხას" 2000 წლის ევროპის და 2002-ის მსოფლიოს ჩემპიონატებზე გაუძღვა. კამაჩოს ისევ მწვრთნელად დანიშვნას (ესპანური გაზეთების ცნობებით) ნაკრების ავტორიტეტები, რაულ გონსალეს ბლანკო და კარლეს პუიოლი მიესალმებიან.

„ესპანიოლის" ყოფილი დამრიგებელი მიგელ ანხელ ლოტინა დიდი ფინანსური მადით არ გამოირჩევა, ამიტომაც ფეხბურთის ფედერაცია მის შესაძლო მწვრთნელობასაც განიხილავს — ლოტინა სხვებზე ნაკლებ ხელფასს მოითხოვს.

ულვაშა ვისენტე დელ ბოსკეს გათავკაცებასაც ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. ექსრეალელი ამჟამად უმუშევარია და კატალონიური „სპორტის" ცნობით, ნაკრების ჩაბარებაზე უარს არ იტყვის. დელ ბოსკეს მთავარი დადებითი მხარე ჭირვეულ ვარსკვლავთა მორჯულებაა — ულვაშა ვისენტემ „რეალში" არაერთი მათგანი გადაიყვანა საჯარისო დისციპლინაზე.

„ესპანეთში ისეთ ფეხბურთს თამაშობენ, რომელიც ძალიან მომწონს და მინდა, რამდენიმე წლით ამ ქვეყანაში ვიმუშაო" — განაცხადა ჟურნალისტებთან, 2006 წლის მუნდიალზე იტალიისთვის ოქროს მედლების მომტანმა მარჩელო ლიპიმ. მართალია, აპენინელს არ დაუზუსტებია, ესპანურ კლუბში აპირებს მუშაობის დაწყებას, თუ „ფურია როხაში", მაგრამ იტალიურ-ესპანური მედია ლიპის არაგონესის შემცვლელად ბეჯითად ასახელებს. ამასობაში კი, „ფურია როხას" შვედეთთან წაგების შემდეგ ევროპის ჩემპიონატის გარეთ დარჩენა ემუქრება.

**ლადო ხომერიკი**

# დიარამ რაულის ფეხებზე გაიარა



**ოთხშაბათს** მადრიდის „რეალის" ერთ-ერთ ვარჯიშზე კლუბის კაპიტანმა რაულმა და ახალწვეულმა მაჰამადუ დიარამ ერთმანეთზე მუშტებით გაიწიეს. „ლას როსასის" საწვრთნელ ბაზაზე ჩხუბი დანარჩენებმა მადრიდელებმა ჩაშალეს, რაულს და აფრიკელს შუაში ჩაუხტნენ და ხელი არ გააქნევინეს. ისე კი რაღაც მომრავლდა დაკადაკა სამეფო თეთრების ბანაკში. მაგალითად, აგვისტოში ბრაზილიელი რობინიო „რეალის" ყოფილ ფეხბურთელს და ამჟამად სელტიკელ ტომას გრავესენს ეჩხუბა.

რაულის და დიარას კონფლიქტი კი ვარჯიშზე მალელი მცველის სახიფათო ვარდნებმა გამოიწვია. დიარამ ჯერ ანტონიო კასანოს კინაღამ მოსტეხა ფეხი, ხოლო შემდეგ სახელგანთქმულ გონსალეს ბლანკოსაც ჩაუხტა და გამწარებული კაპიტნისგან გვარიანი ქიმონჯებიც მიიღო. მერე იყო გინება და ერთიმეორეზე გაწევა, თუმცა თანაგუნდელებმა იყოჩაღეს და ჩხუბი თავიდან აიცილეს.

გაშველებაში გუნდის მწვრთნელი ფაბიო კაპელოც ჩაერთო. იტალიელმა დამრიგებელმა და ბრაზილიელმა ემერსონმა რაული და დიარა დააშოშმინეს. მოჩხუბრებს სისხლი დაუწყნარდათ და ვარჯიშის ბოლოს ჟურნალისტებს ხელიხელგადახვეულები წარუდგნენ. რაული რაღაცას ხუმრობდა, დიარა იღრიჭებოდა და იყვნენ ასე სიამტკბილობაში.

შეგახსენებთ, რომ აგვისტოს დასაწყისში აწ უკვე „სელტიკში" დაბანაკებულმა ტომას გრავესენმა „რეალის" ვარჯიშზე რობინიოს გალახვა მოინდომა. ხულიგანი დანიელი მაშინ ჟულიო ბაპტისტამ დააწყნარა.

**ლადო ხომერიკი**

# პატარა ლეო ორი წლისაა, მაგრამ ალბასეტე და ჩელსი ახსოვს



*ორი წლის წინ ლეო მესი „ბარსელონასთვის“ ოდენ იმედისმომცემი ყმაწვილი იყო. თითქოს ამ კაფანდარა არგენტინელს სხვათა ჩრდილში მუდმივად ყოფნა არ უნდა ასცდენოდა. აბა, რას წარმოადგენდა ვარსკვლავებით განებივრებული „კამპ ნოუსთვის“ 17 წლის ჭაბუკი, ისიც პატარა ბავშვივით ულონო და გალეული? თუმცა ხანი გავიდა და ლეო „ბარსელონას“ ინჩადის სათაყვანებელ კერპად იქცა. „ბოლო პერიოდში კარიერაში მართლაც თავბრუდამხვევი წარმატებები მქონდა, თუმცა ჩემს წარმოშობას, ბავშვობას და სამშობლოს, ჯილდოები ვერ დამავიწყებს. როცა ადამიანს რაიმე მიზეზით ეს ავიწყდება, იგი დამარცხებისთვისაა განწირული“ — ასე ბრძნულად განუცხადა მესიმ მასთან სასაუბროდ მისულ კატალონიური „სპორტის“ ჟურნალისტს*

— ალბათ ორი წლის წინ, როცა „ბარსას“ ძირითადში დებიუტი გქონდათ, დღევანდელ თქვენს ვარსკლავურ სიტუაციას ნამდვილად ვერ წარმოიდგენდით...

— გეთანხმებით, ამაზე ფიქრსაც კი ვერ გავბედავდი. ყველაფერი ისე სწრაფად, ისე მოულოდნელად მოხდა... ამ ორ წელიწადში იმას მივაღწიე, რისი წარმოდგენაც ადრე საერთოდ არ შემეძლო. როცა „ბარსა“ B-ში ვიყავი, ძირითად გუნდში ერთი წუთით თამაშიც ზღაპრად მიმაჩნდა.

— თუმცა „იუვენტუსის“ წინააღმდეგ გამპერის თასზე ჩატარებულმა მატჩმა ლეო მესისთვის ყველაფერი შეცვალა...

— ნამდვილად ასე იყო. ერთ დღეში ზღაპარში აღმოვჩნდი. მინდა, ამისთვის მწვრთნელ ფრანკ რაიკარდს, მთელს სამწვრთნელო შტაბსა და ტექნიკურ დირექტორ ჩიკი ბეგირისტაინს მადლობა ვუთხრა, ისინი მენდნენ და მოედანზე ძირითადი გუნდის შემადგენლობაში გამომიშვეს. მთელი „ბარსელონა“ მეხმარებოდა, მაგრამ ფრანკ რაიკარდი სულ სხვანაირად დამიდგა მხარში. ძირითადად მწვრთნელის დამსახურებაა, ამხელა წარმატებას რომ მივაღწიე.

— თქვენ მათ ნდობა გაუმართლეთ.

— ასეთი შანსი რომ ვერ გამომეყენებინა, ჩემს თავს ვერასდროს ვაპატიებდი. წარმატებისკენ მიმავალი გზა ია-ვარდებით მოფენილი ნამდვილად არ ყოფილა. განსაკუთრებით პასპორტთან დაკავშირებულმა პრობლემებმა გამაწვალა. შარშან ჩემპიონთა ლიგაზე თამაშის უფლება მქონდა, პრიმერადივიზიონის მატჩში კი ვერ გამოვდიოდი. თუმცა ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა და ძველი ტკივილის გახსენებაც აღარ მსურს.

— მაინც მინდა, შეგეკითხოთ — პასპორტთან დაკავშირებულმა სირთულეებმა ასეთი დიდი ზიანი მოგაყენათ?

— რა თქმა უნდა. წარმოიდგინეთ, პატარა ბიჭი მოედანზე ფეხბურთის სათამაშოდ და სიამოვნების მისაღებად გადის და უეცრად იგებს, რომ პროფესიული სპორტისთვის დამახასიათებელი პრობლემების გამო მატჩში მონაწილეობის მიღება არ შეუძლია. მაშინ გავიგე, რომ პროფესიულ ფეხბურთს თავისი ჩრდილოვანი მხარეებიც აქვს.

— მიუხედავად სირთულეებისა, მაშინდელი ბრძოლიდან გამარჯვებული თქვენ გამოხვედით. ფეხბურთის ფედერაციამ პრიმერადივიზიონის მატჩებში მონაწილეობის ნება დაგრთოთ...

— დანებება არ მჩვევია. პირიქით, ამ ამბავმა უფრო ძლიერი და მოტივირებული გამხადა.

— მხოლოდ 19 წლის ხართ და უკვე ორგზის ესპანეთის ჩემპიონობა და ჩემპიონთა თასი მოიგეთ...

— ძალიან ახალგაზრდა ვარ და ვიცი, რომ მსოფლიოში ბევრი ფეხბურთელი ჩემს ასაკში პროფესიულ ფეხბურთში დამკვიდრებას ვერ ახერხებს. მესმის, რომ გარკვეულწილად გამიმართლა, თუმცა აქ მარტო ბედი ვერაფერს გააწყობდა, წარმატებას უშელავათო შრომით მივაღწიე. ჯილდოების მოგებაზე კი უარს არასდროს ვიტყვი, ზოგიერთივით დაფნის გვირგვინებში ძილს არ ვაპირებ.

— ანუ გამარჯვებებით არ ილლებით?

— არასდროს. სულელი უნდა იყო, ასეთ „ბარსაში“ გამარჯვებებით რომ დაიღალო. ჩვენთან საოცარი ფეხბურთელები თამაშობენ. ეს შემადგენლობა ისტორიულია „კამპ ნოუზე“.

— მსოფლიოს გულშემატკივართა უმრავლესობა „ბარსელონას“ თამაშს ისე უყურებს, როგორც ხელოვნების შედევრს...

— ფრანკ რაიკარდმა თავისი სათამაშო ფილოსოფია ფეხბურთელების სტილს კარგად მოარგო. მწვრთნელი გონივრულ ტაქტიკას გვთავაზობს და ჩვენც მოედანზე საქმეს კარგად ვაკეთებთ.

— მატჩებს იგებთ და თან ლამაზადაც ბურთაობთ. ასეთი რამ დღევანდელ ფეხბურთში იშვიათად ხდება.

— მოგება ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანია. მაგრამ არაფერი დაშავდება, სამ ქულას კარგი თამაშით თუ მოიპოვებ.

— მაგრამ ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი.

— დღევანდელ „ბარსელონაში“ შესაძლებელია. ჩვენს გუნდს მაყურებლისთვის მარტო სასურველი შედეგის კი არა, ეშხიანი თამაშის შეთავაზებაც ეხერხება.

— რა იგრძენით, როცა რონალდინიოს გვერდით პირველად ითამაშეთ?

— რონი სრული ფანტასტიკაა. შორიდან მისი თამაში ლამაზ სპექტაკლად მოჩანს, ხოლო თუ ახლოდან დააკვირდებით, მიხვდებით, რომ რონალდინიო საფეხბურთო ხელოვნების სასწაულია. მისგან ბევრი რამ ვისწავლე, ისევე როგორც სხვა ჩემი თანაგუნდელებისგან. მარტო რონის ვარჯიშს რომ უყუროთ, უზარმაზარ ცოდნას მიიღებთ.

— ზოგიერთ გულშემატკივარს ამდენი წარმატებისა... ეშინია. ვფიქრობენ, რომ ამხელა მწვერვალების დაპყრობის შემდეგ „ბარსელონაში“ კრიზისი დაიწყება...

— ინჩასებს ვეტყვი, რომ სიმშვიდე შეინარჩუნონ — ჩვენმა თაობამ „კამპ ნოუზე“ უკვე შექმნა ისტორია, მაგრამ ჩვენს ამბიციებს ლიმიტი ნამდვილად არ ამოეწურება. ისევ ყველაფრის მოგება გვინდა. პრიმერადივიზიონი, ჩემპიონთა ლიგა, საკონტინენტთაშორისო თასი — უარს არაფერზე ვიტყვით.

— ლეო, ეს ძალიან ძნელი იქნება...

— რას იზამ, დიდი ფეხბურთი ასეთია. ყოველ გუნდს თავისი მიზანი უნდა ჰქონდეს, „ბარსელონაც“ მიზნად ყველაზე დიდი ჯილდოების მოპოვებას ისახავს. ვიცით, რომ მეტოქეთა დამარცხება ადვილი არ იქნება, თუმცა თუ მუყაითად ვიშრომებთ, ამ ქვეყნად შეუძლებელი არაფერია. დღევანდელი „ბარსას“ სიძლიერე ერთიანობაშია — ჩვენ ერთი გუნდი ვართ.

— ამ გუნდს ტრავმირებული სამუელ ეტოო კარგა ხნით გამოაკლდება...

— სამუელის ტრავმა ჩვენთვის დიდი დარტყმა იყო. იგი განსაკუთრებული ფეხბურთელია, თავისი ხასიათით, მოედანზე თავდადებით და უხვგოლიანობით.

— ეტოოს შემცვლელებზე რას ფიქრობთ?

— მიუხედავად იმისა, რომ სამუელი დიდ ძალას წარმოადგენს, „ბარსელონას“ მისი ღირსეული შემცვლელის გამოყვანის ძალა შესწევს. მაგალითად, „ბილბაოსთან“ მატჩში გუდიონსენმა შესანიშნავად ითამაშა, ისევე, როგორც ხავიერ სავიოლამ.

— სავიოლა „ბარსელონას“ უბრუნდება. სამი-ოთხი თვის წინ ეს წარმოუდგენელი იყო!

— მართლაც. თუმცა მსოფლიოს ფეხბურთში ასეთი რამ ხშირად ხდება. არასდროს არ უნდა დანებდე, ვინ იცის, ბედი რა სიურპრიზს შემოგთავაზებს.

— „ოქროს ბურთის“ კანდიდატებზე ბევრს საუბრობენ. ეტოო, ანრი, რონალდინიო, დეკუ...

— თუ ამ ჯილდოს ბარსელონელი ფეხბურთელი მოიგებს, ნამდვილად გამიხარდება. ისე, თქვენი ჩამონათვლიდან „ოქროს ბურთს“ ყველა იმსახურებს.

— ასეთ ჯილდოზე ლეო მესი არ ოცნებობს?

— რასაკვირველია, ვოცნებობ. ჩემს ასაკში პრაქტიკულად შეუძლებელი შევძელი. ფეხბურთიდან მესის წასვლამდე ჯერ შორია და ალბათ სამომავლოდ „ოქროს ბურთიც“...

— სავარაუდოდ ჯილდოს მოპოვებას როდის გეგმავთ?

— ამას ბევრი შრომა სჭირდება. ყოველდღიური მუშაობა, ვარჯიში, უმაღლესი დონის მატჩებში მონაწილეობა, მუდმივად ფორმაში ყოფნა და დაძაბულობის დაძლევა.

— დაძაბულობა თქვენ ვერაფერს გაკლებთ...

— მე ფეხბურთის თამაში მიყვარს და რაც უფრო მნიშვნელოვანია მატჩი, მით უკეთესი, მაშინ უფრო კარგად ვთამაშობ.

— მალე თქვენი სიტყვების დამტკიცება „რეალთან“ და „ჩელსისთან“ შეხვედრებში მოგიწევთ...

— თუ ყველაფერი კარგად წავიდა, ინჩასები გაწბილებულნი არ დარჩებიან.

— მადრიდელებთან და ლონდონელებთან მატჩების უწინ „სევილიას“ უნდა შეერკინოთ. „ბარსა“ ანდალუზიელებს „კამპ ნოუზე“ რევანშის სურვილით დაუხვდება?

— სუპერთასზე „სევილიასთან“ 0:3 წაგება ყველას გვაწუხებს. მოგატყუებთ, თუ ამ გრძნობას დავიმალავთ. თუმცა წაგებიდანაც უნდა ისწავლო. „სევილიას“ შემდეგ აღარ დავმარცხებულვართ, იმ თამაშმა თვალები აგვიხილა.

— თვალების ახელაში რას გულისხმობთ?

— იმას, რომ თუ მატჩებს ასპროცენტიანი მომზადებით არ შევხვდით, დავმარცხდებით. დღეს პრიმერაში და ლიგაში სახიფათო მოწინააღმდეგეები გვყავს.

— კაპელოს „რეალის“ მსგავსი მოწინააღმდეგეები?

— შეიძლება, ასეც ვთქვათ. „რეალი“ კარგად თამაშობს თუ ცუდად, მაინც ბრძოლისუნარიანია. ამ სეზონში ნამდვილ ომს გაგვიმართავენ, ამაში დარწმუნებული ვარ.

— „ბარსელონას“ ძირითადში თქვენი დებიუტიდან ორი წელი გავიდა. ამ პერიოდიდან ყველაზე უკეთ რა დაგამახსოვრდათ?

— ალბათ, ჩემი პირველი გოლი „ბარსაში“. დიახ, გოლი, რომელიც „კამპ ნოუზე“ „ალბასეტეს“ გავუტანე.

— ხომ ვერ აგვიხსნით, სხვაზე უკეთ ეს რატომ დაგამახსოვრდათ?

— მაშინ ოცნება ავისრულე. „ბარსაში“ 13 წლისა მოვედი, მთელი ცხოვრება ძირითადში თამაშზე და გოლის გატანაზე ვფიქრობდი და „ალბას“ „კამპ ნოუზე“ ლამაზი გოლი შევუგდე. იმ საღამოს ყველაზე ბედნიერი კაცი ვიყავი.

— და ყველაზე ცუდი მოგონება რას უკავშირდება?

— „ჩელსისთან“ მიღებულ ტრავმას. იმ ჯოჯოხეთმა მეგობრებთან ერთად ჩემპიონთა ლიგის ფინალში თამაშის საშუალება არ მომცა.

— კვლავ ლიგის ფინალში თამაშის შანსის სანაცვლოდ რას გაიღებდით?

— ყველაფერს! ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა და კარიერის დამთავრებას ლიგის ფინალის გარეშე არ ვაპირებ. წინ კიდევ დიდი დრო მაქვს ჯილდოების მოსაპოვებლად.



# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი. IV ტური

## A ჯგუფი

**ყაზახეთი 0:2 ფინეთი**

0:1 ლიტმანენი (27), 0:2 ჰიიპია (65)
**ყაზახეთი:** ლორია, კუჩმა, სმაკოვი, ჟალმაგამბეტოვი, ე. აზოვსკი, ბალტიევი, ბიაკოვი, კლიშინი, სერგიენკო (ლარინი 76), ტრავინი (მ. აზოვსკი 82), ჟუმასკალიევი (აშირბეკოვი 63)
**ფინეთი:** იასკელაინენი, პასანენი, ჰიიპია, ტიჰინენი, ილოლა, კოლკა, ლიტმანენი, ფორსელი (კუქი 72), კალიო, ნურმელა, ვაირინენი (რიიჰილაჰტი 90)
გაფრთხილება: კალიო
მსაჯი: ათანასიოს ბრიაკოსი (საბერძნეთი)
17 000 მაყურებელი

**სერბეთი 3:0 სომხეთი**

1:0 სტანკოვიჩი (54პ), 2:0 ლაზოვიჩი (62), 3:0 ჟიგიჩი (90)
**სერბეთი:** სტოიკოვიჩი, დრაგუტინოვიჩი, სტეპანოვი, კრსტაიჩი, დულიაი, კორომანი (ერგიჩი 72), კოვაჩევიჩი, სტანკოვიჩი, ტრისოვიჩი (ს. ილიჩი 46), პანტელიჩი (ლაზოვიჩი 46), ჟიგიჩი
**სომხეთი:** კასპაროვი, არზუმანიანი, დოხოიანი, ჰოვსეპიანი, ნაზარიანი, მელიქიანი, მელქონიანი, მკრტიჩიანი, ართავაზ ჰაკობიანი (მინასიანი 69), მანუჩარიანი (ტიგრანიანი 79), შაჰგელდიანი (ერზრვნიანი 65)
გაფრთხილება: სტანკოვიჩი, ნაზარიანი, ნაზარიანი
გაძევება: ნაზარიანი (76)
მსაჯი: გეორგიოს კასნაფერისი (საბერძნეთი)
20 000 მაყურებელი

**პოლონეთი 2:1 პორტუგალია**

1:0, 2:0 შმოლარეკი (9, 18), 2:1 ნუნუ გომეში (90)
**პოლონეთი:** კოვალევსკი, ბაკი, ბრონოვიკი, გოლანსკი, ლევანდოვსკი, ბლაშჩიკოვსკი (კრჟინოვეკი 65), რადომსკი, შმოლარეკი, სობოლევსკი, რასიაკი (მატუსიაკი 73), ჟურავსკი
**პორტუგალია:** რიკარდუ, მიგელი, რ. კარვალიუ, რ. როჩა, ნუნუ ვალენტე, კოშტინია (ტიაგუ 46), დეკუ (მანიშე 83), პეტიტი (ნანი 68), ნუნუ გომეში, კ. რონალდუ, სიმაო
გაფრთხილება: ლევანდოვსკი, სიმაო, როჩა, კოვალევსკი
მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)
40 000 მაყურებელი

**ბელგია 3:0 აზერბაიჯანი**

1:0 სიმონსი (24პ), 2:0 ვანდენბერგი (47), 3:0 დემბელე (82)
**ბელგია:** სტიინენი, ვანდენ ბორე (მ. მპენზა 77), ჰოფკენსი, ვან ბუიტენი, ლეონარი, სიმონსი, ვერმაელენი, ჟერარტსი, გოორი, ე. მპენზა (დემბელე 70), ვანდენბერგი (პიერონი 86)
**აზერბაიჯანი:** ველიევი, ჰაშიმოვი (ნადიროვი 77), ქერიმოვი, პერეირა, სოკოლოვი, ჩერტოგანოვი, იმამალიევი, ლადაგა, მუზიკა (ი. გურბანოვი 33), სულთანოვი (ჯავადოვი 55), ლ. გომეში
გაფრთხილება: ვან ბუიტენი, გოორი, ველიევი, მუზიკა, ქერიმოვი
გაძევება: დემბელე (87)
მსაჯი: რომანს ლაიუკსი (ლატვია)
12 000 მაყურებელი

### ის ურჩევნია პოლონეთს, რომ ები სჯობდეს ვლოდიმეჟს



ები შმოლარეკი მამის საქმეს აგრძელებს

**პოლონეთის** ნაკრებმა ჯგუფში ვითარება გვარიანად დაძაბა. ლეო ბეენჰაკერის შეგირდებმა სრულიად დამსახურებულად მოიგეს. ისინი დებიუტიდანვე უკეთ გამოიყურებოდნენ და ლოგიკურადაც დაწინაურდნენ. გერმანული „დორტმუნდის" თავდამსხმელმა ები შმოლარეკმა პირველი გოლი საჯარიმოს მისადგომებიდან გაიტანა, მეორედ კი აქტიურად მოთამაშე გჟეგოჟ რასიაკის კარგი ჩაწოდებით იხეირა.

მასპინძლები ძალიან ჭკვიანურად ირჯებოდნენ და მეტოქეს გასაქანს არ აძლევდნენ. მეორე ნახევარში გატანა უფრო პოლონეთს შეეძლო, ვიდრე პორტუგალიას. სტუმრებმა ინიციატივა მხოლოდ მატჩის მიწურულს იგდეს ხელთ და ერთი გოლიც გაიტანეს, ბოლო წუთზე სიმაო საბროსას პასი ნუნუ გომეშმა გამოიყენა.

აღსანიშნავია, რომ პოლონეთს პორტუგალიისთვის 1986 წლის მერე არ მოეგო. მაშინ, მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფურ შეხვედრაში, ერთადერთი გოლი ები შმოლარეკის მამამ ვლოდიმეჟმა გაიტანა.

ლეო ბეენჰაკერი: „ერთი ნაბიჯით წინ წავიწიეთ. გაცილებით უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე წინა შეხვედრებში. ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, პორტუგალიელთათვის ცენტრი არ დაგვეთმო და ეს 100 პროცენტით შევასრულეთ. ახლა მთავარია, ხუთი კვირის მერე ბელგიასთან მატჩისთვის ტრავმირებული არავინ გვყავდეს".

„პოლონელები ფიზიკურად ბრწყინვალედ იყვნენ მომზადებულნი და შესაშური შემართებით ითამაშეს. თანაც შეცდომები დავუშვით და დავისაჯეთ" — განაცხადა პორტუგალიელთა თავკაცმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ.

ჯგუფის ლიდერმა სერბეთმა კი შინ იოლად მოუგო სომხეთს. მიუხედავად დიდი უპირატესობისა, მასპინძლებმა პირველ ტაიმში ვერ გაიტანეს. ნიკოლა ჟიგიჩმა კარგი შანსი გააცუდა, მერე პენალტი მოინადირა, რომელიც მარკო პანტელიჩმა გააფუჭა. ცოტა ხანში პანტელიჩმა ბურთი ძელს გაარტყა..

მეორე ნახევარი იგივე სცენარით გაგრძელდა და გოლმაც აღარ დააყოვნა. ჟიგიჩის მოპოვებული მეორე პენალტის დარტყმა დეიან სტანკოვიჩმა ითავა და 1:0. ცოტა ხანში დანკო ლაზოვიჩმა ივიცა დრაგუტინოვიჩის პასით გაიტანა. რაფაელ ნაზარიანის გაძევების გამო ათი კაცით დარჩენილ სომხებს ბოლო გოლი დამატებულ წუთებზე ჟიგიჩმა შეუგდო.

**გიორგი ძაძამიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| ფინეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:2 | 8 |
| ბელგია | 4 | 2 | 1 | 1 | 4:1 | 7 |
| პოლონეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| ყაზახეთი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | 2 |
| სომხეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |
| აზერბაიჯანი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:8 | 1 |

## C ჯგუფი

### ბასკაკოვი იუბილეზე ისე დათვრა, შილიჩი პაპაჩი ეგონა

**მალტა 2:1 უნგრეთი**

1:0 შემბრი (14), 1:1 ტორშელე (19), 2:1 შემბრი (53)
**მალტა:** ჰაბერი, დიმეში, საიდი, შიკლუნა, ველმანი, მალია (კოჰენი 64), პაჩე, სამუტი, აგიუსი (პულიჩინო 82), მიფსუდი, შემბრი (სკერი 72)
**უნგრეთი:** კირალი, ფეჰერი (ჰალმოში 76), იუჰაში, ტოტი, ვანჩაკი, დარდაი, ჰუშტი, ლეანდრო (კისი 46), გერა, საბიჩი (ცვიტკოვიჩი 60), ტორშელე
გაფრთხილება: სამუტი
გაძევება: ვანჩაკი (38)
მსაჯი: ჯონი ვერ ეეკე (ბელგია)
5 000 მაყურებელი

**თურქეთი 5:0 მოლდოვა**

1:0, 2:0, 3:0 შუქური (35, 37პ, 43), 4:0 თუნჯაი (68), 5:0 შუქური (73)
**თურქეთი:** რუშთუ, ჰამით ალტინტოპი, სერვეთი, გოხანი, მ. აურელიო, კარადენიზი (თუმერი 60), საბრი, თურანი (ნიჰათი 72), იბრაჰიმი, თუნჯაი, ჰ. შუქური (ჰალილ ალტინტოპი 81)
**მოლდოვა:** პაშჩენკო, კატინსუსი, ა. ეპურიანუ (კორნენჩოვი 46), გაცკანი, ოლექსიკი, ტესტიმიცანუ, კოვალჩუკი, ს. ეპურიანუ (დადუ 63), ს. ივანოვი, რებეჯა, როგაჩოვი
გაფრთხილება: კატინსუსი, საბრი
მსაჯი: ნიკოლაი ვოლკარცი (დანია)
20 000 მაყურებელი

**ბოსნია 0:4 საბერძნეთი**

0:1 ხარისტიასი (8პ), 0:2 პაცაცოღლუ (82), 0:3 სამარასი (85), 0:4 კაცურანისი (90)
**ბოსნია:** ჰასაგიჩი (თოლჯა 46), ბაჯიჩი, პაპაჩი, ბაირამოვიჩი, ბარბარესი, გრლიჩი (გრუიჩი 61), ჰრგოვიჩი, შილიჩი (იბრიჩიჩი 69), ბარტოლოვიჩი, მისიმოვიჩი, შკორო
**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი (პაცაცოღლუ 57), კირიაკოსი, ანატოლაკისი, ფისასი, ბასინასი, იანაკოპულოსი (ამანატიდისი 89), კარაგუნისი (ალექსოპულოსი 36), კაცურანისი, ხარისტიასი, სამარასი
გაფრთხილება: ბაჯიჩი, პაცაცოღლუ, შილიჩი
გაძევება: პაპაჩი (50)
მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)
10 000 მაყურებელი

**ანდრე შემბრი** ისტორიაში შევიდა, რადგან მისი ორი გოლით მალტამ, რომელსაც 24 წლის განმავლობაში ევროშესარჩევი მატჩი არ მოეგო, უნგრეთი დაამარცხა. ეროვნულ ნაკრებში შემბრის აქამდე არ გაეტანა და „ტა ქალზე" ორი შეაგდო. ისიც უნდა ვთქვათ, რომ უნგრელებს 38-ე წუთზე ვილმოშ ვანჩაკი უხეშობისთვის გაუძევეს და ამან მასპინძლებს საქმე გაუადვილა.

„ჩემმა გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა — ხარობდა მალტელთა ჩეხი მწვრთნელი დუშან ფიცელი — მალე გატანილმა გოლმა ბიჭებს თავდაჯერება შემატა და მიუხედავად იმისა, რომ მეტოქემაც მალე გაათანაბრა, არ დავბნეულვართ. ეს ის შემთხვევაა, როცა ყველაფერი ჩვენთვის სასურველი სცენარით წარიმართა. ვიმედოვნებ, უნგრეთთან მოგება არ იქნება პირველი და უკანასკნელი ამ შეჯიბრში".

„ასეთი მარცხის შემდეგ ლაპარაკი მიმძიმს — თქვა უნგრელთა დალონებულმა თავკაცმა პეტერ ბოჟიკმა — შესვენებამდე ურიგოდ არ გვითამაშია, მაგრამ მაიკლ მიფსუდიმ ჩვენს დაცვას მეორე ტაიმში სისხლი გაუშრო, მით უმეტეს, როცა ვანჩაკი გაგვიძევეს, გაგვიჭირდა და მეტოქის შეტევებს ვეღარ გავუმკლავდით".

პირველი გოლი მაიკლ მიფსუდის აქტიურობას მოჰყვა. მისი დარტყმული გაბორ კირალიმ უკუაგდო, მაგრამ ანდრე შემბრმა დასწრებაზე იყოჩაღა — 1:0.

ოთხ წუთში სტუმრებმა გაათანაბრეს, ჰუშტის ჩაწოდებულ ბურთს ტორშელემ თავი საგოლედ დაუხვედრა. მეორე ნახევრის დასაწყისში კი შემბრის საგოლე პასი ჟილბერტ აგიუსმა მიართვა და — 2:1. ამის მერე მალტელებმა ათკაცა სტუმრებს აღარ გაატანინეს. მალტისთვის ეს ისტორიაში მესამე გამარჯვება იყო, მათ აქამდე საბერძნეთი 2:0 (1975) და ისლანდია 2:1 (1982) დაუმარცხებიათ.



ხარისტიასმა ჰასაგიჩს პენალტი გაუტანა

ბოსნიაში კი მასპინძლებმა მე-100, საიუბილეო მატჩი ითამაშეს და იუბილეზე ბერძნებისგან საჩუქრად ოთხი გოლი მიიღეს. იანაკოპულოსის დარტყმის შემდეგ დალიბორ შილიჩს ბურთი სახეში ხვდებოდა, მან კი ხელი აიფარა და ხელში მოხვდა, რის გამოც მსაჯმა ბასკაკოვმა პენალტი დანიშნა. თერთმეტი მეტრიდან ანგელოს ხარისტიასმა გაიტანა. მეორე ტაიმის დასაწყისში ბასკაკოვი აშკარად შეცდა, როცა შილიჩის ნაცვლად საშა პაპაჩი გააძევა. იანაკოპულოსი შილიჩმა საჯარიმოს ხაზთან წააქცია, მსაჯს კი რატომღაც პაპაჩი მოელანდა და წითელი ბარათი უჩვენა. ათკაცა ბოსნიელებმა 82-ე წუთამდე გაძლეს, მერე კი დაიღალნენ და ზედიზედ სამი გოლი გაუშვეს. სამარასის პასით პაცაცოღლუმ პირველი სანაკრებო გაიტანა, შემდეგ თავად სამარასმა იხეირა და ბოლოს კი კაცურანისმა კოხტად გადაუგდო ბურთი თავზე ჰასაგიჩის და ბერძნებმა მიჯრით მეორე მოგება მიითვალეს.

„ფეხბურთელებს ვერაფერს ვუსაყვედურებ — თქვა ნამატჩევს მასპინძელთა მწვრთნელმა ბლაჟ სლიშკოვიჩმა — მათ იბრძოლეს, მაგრამ ჯერ საეჭვო პენალტის, მერე კი პაპაჩის გაძევების შემდეგ ვეღარაფერი მოვახერხეთ. რაც შეეხება ჩემს შესაძლო გადადგომას, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია".

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:0 | 9 |
| საბერძნეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 9 |
| ნორვეგია | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| ბოსნია | 4 | 1 | 1 | 2 | 8:11 | 4 |
| უნგრეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 |
| მალტა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:8 | 3 |
| მოლდოვა | 4 | 0 | 1 | 3 | 2:10 | 1 |

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი. IV ტური

## D ჯგუფი

**ირლანდია 1:1 ჩეხეთი**

1:0 კილბეინი (62), 1:1 კოლერი (64)

**ირლანდია:** ჰენდერსონი, ფინანი, ს. კელი, მაკშეინი, ოში, კარსლი, დუგლასი, დ. დაფი, კილბეინი (ე. ობრაიენი 79), რიდი (ა. ქუინი 72), კინი

**ჩეხეთი:** ჩეხი, ჟირანეკი, როზენალი, რადოსლავ კოვაჩი, იანკულოვსკი, უიფალუში, პლასილი (გრიგერა 85), პოლაკი, როსიცკი, კოლერი, ბაროში (იაროლიმი 82)

გაფრთხილება: კილბეინი, ბაროში, პოლაკი, როზენალი, დუგლასი, კოვაჩი, კარსლი

მსაჯი: ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი)

35 500 მაყურებელი

**სლოვაკეთი 1:4 გერმანია**

0:1 პოდოლსკი (13), 0:2 ბალაკი (25), 0:3 შვაინშტაიგერი (36), 1:3 ვარგა (58), 1:4 პოდოლსკი (72)

**სლოვაკეთი:** ჩონტოფალსკი, დიურიცა, კოზაკი (ჰოდური 65), მ. პეტრაში, შკრტელი, სვენტო, ვარგა, კარჰანი, მინტალი, პ. პეტრაში (ჰოლოშკო 73), ვიტეკი

**გერმანია:** ლემანი, ფრიცი, ა. ფრიდრიხი, მ. ფრიდრიხი, ლამი, შნაიდერი (ოდონკორი 75), ფრინგსი, შვაინშტაიგერი (ტროხოვსკი 77), ბალაკი, კლოზე, პოდოლსკი (ჰანკე 85)

გაფრთხილება: პ. პეტრაში, მ. პეტრაში, ფრიცი

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

21 582 მაყურებელი

**უელსი 3:1 კვიპროსი**

1:0 კუმასი (33), 2:0 ერნშოუ (39), 3:0 ბელამი (72), 3:1 ოკასი (83)

**უელსი:** პრისი, ბეილი, რ. დაფი (ედვარდსი 78), გაბიდონი, მორგანი, ნაიტანგა, ს. დევისი, კუმასი (ლედლი 76), კ. რობინსონი, ბელამი (პერი 90), ერნშოუ

**კვიპროსი:** მორფისი, ლამბრუ, ლუკა, საციასი (გიასემი 84), თეოდოტუ, გარპოცისი (ხარალამბუსი 46), მაკრიდესი, მიხაელი (ხარალამბიდისი 46), ალონეფტისი, კონსტანტინუ, ოკასი

გაფრთხილება: გარპოცისი, კუმასი, საციასი

მსაჯი: იაცეკ გრანატი (პოლონეთი)

20 456 მაყურებელი

# სლოვაკეთს შეღსური ხუთი ცხვირში ოთხად ამოადინეს



გახარებულ ერნშოუს ბელამი და დევისი მისდევენ

**იოახიმ ლიოვის** გერმანიამ ამას წინათ უელსის გამბითურებელ სლოვაკეთს აწყენინა — ალემანებმა სლავებს სტუმრად დიდი ანგარიშით მოუგეს. ევრო 2008-ის საკვალიფიკაციოში „ნაციონალმანშაფტი" ზედიზედ სამი მატჩია, გულშემატკივრებს მოგებით ახარებს.

სლოვაკეთმა ბრიტანეთში უელსს 5:1 მოუგო, თუმცა გერმანელებს ამისთვის არანაირი ყურადღება არ მიუქცევიათ. ლიოვის შეგირდებმა ბრატისლავაში პირველი ტაიმი სამბურთიანი უპირატესობით მოიგეს. სტუმართაგან შესვენებამდე გოლები ლუკაშ პოდოლსკიმ, ბალაკმა და შვაინშტაიგერმა შეყარეს. მეორე ტაიმში ვარგამ მასპინძელთა ერთადერთი საპასუხო გოლი გაიტანა, თუმცა პოდოლსკიმ მეოთხედაც გაახარა ლიოვის ბიჭები.

ლუკაშ პოდოლსკიმ სლოვაკთა კარი პირველად მეცამეტე წუთზე დალაშქრა. წარმოშობით პოლონელი „ნაციონალმანშაფტის" ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლეა, 11 ოქტომბრის მატჩამდე ევრო 2008-ის შესარჩევში ერთი ირლანდიასთან, ხოლო ოთხი სან მარინოსთან ჰქონდა გატანილი. ლუკაშმა სლოვაკთა კარში გოლი მიროსლავ კლოზეს გადაცემის შემდეგ შეაგდო. მეორე კი მიხაელ ბალაკმა ფილიპ ლამის პასით მეორე გაიტანა.

შესვენებამდე თავისი შვაინშტაიგერმაც გააკეთა. ბასტიმ როსტოკში საქართველოს ბალაკთან ერთად გაუტანა და ტრადიცია არც სლოვაკეთში დაურღვევია. ადგილობრივთა მეკარე ჩონტოფალსკიმ ბალაკის დარტყმა უხერხულად მოიგერია და იქვე მყოფმა შვაინშტაიგერმაც თავისი გოლი შეაგდო.

მას შემდეგ, რაც მწვრთნელად ლიოვი დაინიშნა, გერმანელებს საკუთარ კარში საერთოდ გოლი არ მიეღოთ. ამას ბოლო სტანისლავ ვარგამ მოუღო — 58-ე წუთზე იენს ლემანს საჰაერო ბრძოლა მოუგო და სტუმართა კარში ბურთი თავურით გადაგზავნა. სლოვაკებს თითქოს სასწაულებრივი გადარჩენის იმედი გაუჩნდათ, თუმცა მიროსლავ კლოზემ მატჩის გადარჩენის მათი ყველა შანსი დაასამარა. „ვერდერის" ფორვარდმა მეტოქის მცველების დაბნეულობით ისარგებლა და პოდოლსკის მისი პასის შემდეგ რომ არ გაეტანა, მართლა სასწაული და ზღაპარი იქნებოდა. გერმანელები ახლა ჯგუფის ლიდერ ჩეხებს ერთი ქულით ჩამორჩებიან.

სტივ სტონტონის ირლანდიას კვიპროსთან 2:5 წაგებული მატჩი სტკიოდა, ამიტომაც კელტებმა ფანების თვალწინ ჩეხეთის დასამარცხებლად ყველაფერი გააკეთეს, თუმცა სამი ქულის აღება მაინც ვერ მოახერხეს. 62-ე წუთზე მასპინძლები კევინ კილბეინმა დააწინაურა. ოღონდ, გიგანტმა იან კოლერმა სულ რაღაც 90 წამში გაათანაბრა. ირლანდიამ ამ თამაშში ევრო 2008-ის შესარჩევში თავისი პირველი ქულა აიღო.

მასპინძლებს აღმოსავლეთევროპელებთან მატჩისთვის ტრავმების გამო 13 (!) ფეხბურთელი გამოაკლდა. მიუხედავად ამისა, ირლანდიას გოლის გატანა მატჩის დასაწყისშივე შეეძლო. დუგლასის სახიფათო დარტყმა ჩეხთა მეკარე პეტრ ჩეხმა მოიგერია.

ხუთი წუთის შემდეგ ჯონ ოშიმ ბურთი მეტოქის ძელს დააჭედა. გადის მცირე ხანი და ენდრიუ რიდის ჩაწოდებას იან კოლერი კინაღამ საკუთარ კარში აგზავნის...

ჩეხებმა ამ შეხვედრამდე უელსი, სლოვაკეთი და სან მარინო გაარეს ბეჭებზე, ამიტომაც ირლანდიელთა შეტევებს თავადაც მხნედ პასუხობდნენ იერიშებით. ტომაშ უიფალუშმა და მილან ბაროშმა მასპინძელთა გოლკიპერი ჰენდერსონი ძლიერი დარტყმებით შეაშფოთეს.

პირველი ტაიმის ბოლოს ირლანდიამ იმძლავრა და პეტრ ჩეხმაც კარი ვეღარ გადაარჩინა. 62-ე წუთზე კილბეინმა დაფის პასს მიუსწრო და ტაბლოზე 1:0 აანთო.

კელტ ფანობას სიხარული კოლერმა ჩაუშხამა. გოლიათი პოლ მაკშეინის მეურვეობას დაუსხლტა და 47-ე სანაკრებო გოლი გაიტანა.

მატჩის მიწურულს ირლანდიას მოგება შეეძლო, თუმცა რობი კინს თავური დარტყმა გაუცუდდა. ირლანდიელები ნოემბერში სან მარინოს დაეცემიან ასაკლებად.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 13:2 | 10 |
| გერმანია | 3 | 3 | 0 | 0 | 18:1 | 9 |
| სლოვაკეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 12:9 | 6 |
| უელსი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |
| კვიპროსი | 3 | 1 | 0 | 2 | 7:11 | 3 |
| ირლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| სან მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:20 | 0 |

## E ჯგუფი

# რობინსონის შოუ: მოუქნიე და ააცილე



რობერტ კოვაჩმა რუნის კინაღამ აკოცა

**ანდორა 0:3 მაკედონია**

0:1 პანდევი (13), 0:2 ნოვესკი (16), 0:3 ნაუმოსკი (31)

**ანდორა:** კოლდო, ხ. აიალა, რუბიო, სონეხე, ჩემა, ბერნაუსი, გარსია, პუხოლი (მ. ხიმენესი 87), სივერა, ვიეიხა, ტოსკანო (ხ. რუისი 34)

**მაკედონია:** ნიკოლოსკი, მიტრესკი, ნოვესკი, სედლოსკი, ლაზარევსკი, მიტრევსკი, რ. პეტროვი (შაკირი 80), სუმოლიკოსკი, მაზნოვი, ნაუმოსკი, პანდევი (ტასევსკი 55)

გაფრთხილება: პანდევი, ჩემა, ნაუმოსკი, პუხოლი

გაძევება: სივერა (26)

მსაჯი: ლაშა სილაგავა (საქართველო)

300 მაყურებელი

**რუსეთი 2:0 ესტონეთი**

1:0 პოგრებნიაკი (78), 2:0 სიჩოვი (90)

**რუსეთი:** აკინფეევი, ა. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ვ. ბერეზუცკი, ანიუკოვი, ალდონინი (სიჩოვი 74), ბილიალეტდინოვი (საენკო 90), ბისტროვი, ტიტოვი, კერჟაკოვი (პოგრებნიაკი 46), არშავინი

**ესტონეთი:** პოომი, ალასი (პურიე 80), იააგერი, კრუგლოვი, პიიროია, სტეპანოვი, დმიტრიევი, კლავანი, ტერეხოვი (რანი 81), ოპერი, ტევერი (ვ. გუსევი 80)

გაფრთხილება: პიიროია, კრუგლოვი, არშავინი, სტეპანოვი, ბერეზუცკი, პიიროია

გაძევება: პიიროია (90)

მსაჯი: ერიკ ბრაამჰაარი (ჰოლანდია)

21 500 მაყურებელი

**ხორვატია 2:0 ინგლისი**

1:0 ედუარდო (61), 2:0 ნევილი (69ს.გ.)

**ხორვატია:** პლეტიკოშა, შიმიჩი, შიმუნიჩი, რობერტ კოვაჩი, კორლუკა, მოდრიჩი, ნ. კოვაჩი, რაპაიჩი (ოლიჩი 76), კრანჩარი (ბაბიჩი 89), ედუარდო (ჟ. ლეკო 81), პეტრიჩი

**ინგლისი:** პ. რობინსონი, ნევილი, ფერდინანდი, ტერი, ე. კოული, კარაგერი (რაიტ-ფილიპსი 73), კარიკი, პარკერი (დეფო 72), ლამპარდი, რუნი, კრაუჩი (რიჩარდსონი 72)

გაფრთხილება: ფერდინანდი, კოვაჩი, კოული

მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)

38 000 მაყურებელი

**ხორვატიამ** ინგლისთან მატჩში ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა და პოტენციურად ჯგუფის ერთპიროვნულ ლიდერადაც იქცა. სტივ მაკლარენის გუნდს კი, თუ ასე გააგრძელა, შეიძლება სერიოზული პრობლემები შეექმნას და ევრო 2008-ის მიღმა დარჩენაც დაემუქროს.

მაკლარენმა ფორმალურად 3-5-2 ტაქტიკით ითამაშა, მაგრამ რეალურად ეს უფრო 5-3-2 იყო. სტუმრებს შეტევების ორგანიზება უჭირდათ და თავდამსხმელებამდე ბურთი ვერ მიჰქონდათ. ისეც არ ყოფილა, რომ სტივენ ჯერარდისა და ლედლი კინგის გარეშე მოთამაშე ინგლისელებს მომენტი არ ჰქონდათ, მაგრამ მასპინძლები აშკარად უკეთ გამოიყურებოდნენ.

ინგლისელებს საუკეთესო შანსი მეორე ტაიმში ჯერ კიდევ 0:0-ზე ჰქონდათ, მაგრამ უეინ რუნიმ ვერ ივარგა. ცოტა ხანში კი ნიკო კოვაჩის ჩაწოდებულს ედუარდო და სილვამ თავი დაუხვედრა და ეფექტური გოლიც გამოუვიდა. აღსანიშნავია, რომ რაც მაკლარენმა ინგლისი ჩაიბარა, აქამდე გოლი არ გაეშვა.

მეორე გოლი კი კომიკური გამოდგა, გარი ნევილმა პოლ რობინსონს დაუგორა, რომელმაც ბურთს ფეხი ააცილა და... არადა, რობინსონმა იქამდე თავისი გუნდი რამდენჯერმე იხსნა.

„ბიჭებმა ყველაფერი ნორმალურად გააკეთეს, უბრალოდ, ტაქტიკამ არ გაამართლა. კრიტიკასაც ვიღებ, ეს მწვრთნელების სამუშაოს შემადგენელი ნაწილია, თუ იგებ ტაშს გიკრავენ, თუ აგებ გლანძღავენ. გარჯა არც მეტოქეს უნდა დავუკარგოთ. ხორვატებმა ბრწყინვალედ ითამაშეს. გული დამწყდა მეორე გოლზე, პოლმა მთელი მატჩი ჩინებულად ჩაატარა და ასეთ რამეს არ იმსახურებდა. იგი ძალიან განიცდიდა, რომ ის შეცდომა დაუშვა" — თქვა მაკლარენმა.

ხორვატიის ნაკრების მწვრთნელი სლავენ ბილიჩი: „ჩვენი გამარჯვება უფრო მეტია, ვიდრე 3 ქულა. როდესაც ინგლისის დონის გუნდს უგებ, ბევრს ნიშნავს. საკუთარ ძალებს კიდევ უფრო ვირწმუნეთ და მომავალ მატჩებში ეს ძალიან დაგვეხმარება. ინგლისს წაბორძიკების უფლება აღარ აქვს, მაგრამ ისევ ჯგუფის ფავორიტად რჩება".

მატჩამდე ცოტა ხნით ადრე კი ზაგრების ქუჩები ფანებს შორის შეტაკებებს მაინც არ ასცდა. ადგილობრივმა პოლიციამ 21 ქომაგი დააკავა, აქედან 16 ხორვატი და 5 ინგლისელი.

რუსეთის ნაკრებმა გუს ჰიდინკის მეთაურობით შესარჩევ ეტაპზე პირველი გამარჯვება მოიპოვა. დაძაბულ მატჩში რუსებმა, რომლებიც მაინც უფრო უკეთ გამოიყურებოდნენ, ვიდრე ესტონელები, გვიანი გოლებით იმარჯვეს.

74-ე წუთზე შეცვლაზე შესული დმიტრი სიჩოვისა და იგორ ტიტოვის აქტიურობას პაველ პოგრებნიაკის გოლი მოჰყვა. 90-ე წუთზე სტუმრებს საიო პიიროია გაუძევეს, ხოლო დამატებულ დროში ტიტოვის პასით სიჩოვმა ეფექტურად გაიტანა და 2:0.

**გიორგი ძაძამიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 3 | 2 | 1 | 0 | 9:0 | 7 |
| ისრაელი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ინგლისი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 7 |
| მაკედონია | 4 | 2 | 1 | 1 | 4:1 | 7 |
| რუსეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| ესტონეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | 0 |
| ანდორა | 4 | 0 | 0 | 4 | 1:19 | 0 |

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი. IV ტური

## F ჯგუფი

# ჰილი და ტკბილი ცხრილი

**ისლანდია 1:2 შვედეთი**
1:0 ვიდარსონი (6), 1:1 კალსტრიომი (8), 1:2 ვილჰელმსონი (59)
**ისლანდია:** არასონი, ჰრეიდარსონი, ინგიმარსონი, ი. სიგურდსონი (იონსონი 51), კ. სიგურდსონი, სტეინსონი, გუდიონსონი (ბალდვინსონი 81), ჰალფრედსონი, ვიდარსონი, გუდიონსენი, ჰ. სიგურდსონი
**შვედეთი:** შააბანი, ნილსონი, ჰანსონი, ანტონსონი, ედმანი, ალექსანდერსონი, დ. ანდერსონი, კალსტრიომი, ვილჰელმსონი, ოლბოკი (როზენბერგი 79), ელმანდერი (მაისტოროვიჩი 90)
გაფრთხილება: სტეინსონი, ჰრეიდარსონი, ანდერსონი, ჰ. სიგურდსონი, ელმანდერი, ვილჰელმსონი
მსაჯი: გჟეგოჟ გილევსკი (პოლონეთი)
8 725 მაყურებელი

**ლიხტენშტაინი 0:4 დანია**
0:1 დ. იენსენი (29), 0:2 გრავგაარდი (32), 0:3, 0:4 ტომასონი (51, 64)
**ლიხტენშტაინი:** იელე, ჰასლერი, რიტერი, შტოკლასა, ტელსერი, ბეკი, ბურგმეიერი (დ. ფრიკი 62), ფიშერი (დელია 80), მ. ფრიკი, ბუშელი, ოერი
**დანია:** კრისტიანსენი, აგერი, გრავგაარდი, ნ. იენსენი, პოულსენი, ლ. იაკობსენი, დ. იენსენი (დ. სორენსენი 46), კალენბერგი (კ. იენსენი 64), იორგენსენი, რომედალი (კრონ-დელი 78), ტომასონი
მსაჯი: კერი რიჩარდსი (უელსი)
2 700 მაყურებელი

**ჩრდ. ირლანდია 1:0 ლატვია**
1:0 ჰილი (35)
**ჩრდ. ირლანდია:** ტეილორი, ბაირდი, კრეიგანი, ჰიუზი, კლინგანი, ს. დევისი, ევანსი, გილესპი, დ. ჯონსონი, ჰილი (ფინეი 90), ლაფერტი (ჯ. ქუინი 88)
**ლატვია:** კოლინკო, კაცანოვსი, სმირნოვსი (გორკსი 46), სტეპანოვსი, ზირნისი, ასტაფიევსი, ლაიზანსი, სოლონიცინსი (ვიშნიაკოვსი 85), ვერპაკოვსკისი (კალნინში 78), კარლსონსი, პახარსი
გაფრთხილება: ლაფერტი, გორკსი, ასტაფიევსი
მსაჯი: ჰელმუტ ფლაიშერი (გერმანია)
14 500 მაყურებელი

**როგორც** წინა საშინაო მატჩში ესპანეთთან, თავი დევიდ ჰილმა გამოიჩინა და მისი გოლით ჩრდილოირლანდიელებმა ლატვია დაამარცხეს. შეგახსენებთ, რომ „ლიდსის" ფორვარდმა ესპანეთს სამი გაუტანა, ამჯერად კი ერთი იკმარა. ეს იყო მისი 24-ე გოლი 54-ე სანაკრებო შეხვედრაში.

გასულ შაბათს ჩრდილოირლანდიელებმა სტუმრად დანიას ქულა წაჰგლიჯეს და ახლა ლატვიასთან მოგებით ჯგუფიდან გასვლის შანსი გაიუმჯობესეს. მწვრთნელმა ლორი სანჩესმა თქვა: „ჯერ კიდევ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი, მაგრამ შესარჩევში ცუდი სტარტის მერე თამაში რომ გამოვაკეთეთ, ამას ვერავინ უარყოფს. ისლანდიასთან მოულოდნელი მარცხის შემდეგ ბიჭებმა ხასიათი გამოავლინეს. მესამე ადგილზე ვართ და ახლა ხუთი თვე, სანამ მომდევნო მატჩი გვექნება, ცხრილით დავტკბებით".

დანიასთან თამაშის მერე სანჩესს ერთი იძულებითი ცვლილების გაკეთება მოუხდა — დისკვალიფიცირებული მაიკლ დაფის მაგივრად დამიენ ჯონსონი გამოჩნდა შემადგენლობაში.

24-ე წუთამდე ორივე მეკარე უსაქმოდ იყო და ამის მერეღა გაცვალეს მეტოქეებმა თითო დარტყმა. ნახევარი საათის შემდეგ მასპინძლები გააქტიურდნენ, რასაც გოლი მოჰყვა. ჰილმა გილესპისგან მიიღო ბურთი, მცველი ჩამოიშორა და კოლინკოს გაუტანა.

მეორე ტაიმში ჰილს სხვაობის გაზრდა შეეძლო, მაგრამ მისი დარტყმული მეკარემ მუხლით მოიგერია. ამის მერე სტივენ დევისმა გაიტანა, თუმც მსაჯმა თამაშგარე აღნიშნა. ბოლოს კი ჩრდილოირლანდიელები მეკარე ტეილორმა იხსნა, როცა კარლსონსს ახლოდან აუღო.


ვერპაკოვსკისმა ჯონსონი მოცელა

რეიკიავიკში ისლანდია მალევე დაწინაურდა შვედებთან ვიდარსონის გოლით, მაგრამ სტუმართა კლასმა მაინც გაჭრა და ლარს ლაგერბეკის გუნდმა ისლანდიიდან სამი ქულა წაიღო. არადა, სტუმრებს ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი აკლდათ. ლიუნგბერგმა, სვენსონმა, ლინდეროტმა და მელბერგმა შეხვედრა ტრავმების გამო გამოტოვეს.

ვიდარსონის გოლმა მხოლოდ ორი წუთით გაამხიარულა მასპინძლები, რადგან შვედებმა უმალ გაათანაბრეს. კიმ კალსტრიომმა დაახლოებით 30 მეტრიდან საჯარიმო დარტყმა უზადოდ შეასრულა.

მეორე ტაიმის დაწყებიდან 14 წუთში სტუმრებმა სამსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც მეკარესთან ვილჰელმსონის პირისპირ გასვლით, ბურთის თავზე გადაგდებით და გოლით დასრულდა. ამის მერე ეიდურ გუდიონსენს ჰქონდა კარგი მომენტი, მაგრამ ბურთი ძელს გაარტყა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 8:2 | 12 |
| დანია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:0 | 7 |
| ჩრდ. ირლანდია | 4 | 2 | 1 | 1 | 4:5 | 7 |
| ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:2 | 3 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:5 | 3 |
| ისლანდია | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |
| ლიხტენშტაინი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:11 | 0 |

## G ჯგუფი

# ფეხმრუდი ბექაი


ვან პერსის ორი კაციც ვერ აჩერებს

**ბელარუსი 4:2 სლოვენია**
1:0 კოვბა (18), 1:1 სეზარი (19), 1:2 ლავრიჩი (43), 2:2, 3:2 კორნილენკო (52, 60), 4:2 კორიტკო (85)
**ბელარუსი:** გაევი, გურენკო, ომელიანჩუკი, შტანიუკი, ა. გლები, კალაჩევი, კოვბა, კულიჩი, რომაშჩენკო (კორიტკო 50), ვ. გლები (სტრახანოვიჩი 69), კორნილენკო (კონცევოი 90)
**სლოვენია:** ბ. მავრიჩი, სეზარი, ბ. ილიჩი, ჯოკიჩი, მ. მავრიჩი, აჩიმოვიჩი (კომაცი 70), კორენი, ზლოგარი, ბირსა, ლავრიჩი, ნოვაკოვიჩი (ბურგიჩი 82)
გაფრთხილება: ზლოგარი, კომაცი, გურენკო
მსაჯი: ვიქტორ კასაი (უნგრეთი)
23 000 მაყურებელი

**ლუქსემბურგი 0:1 ბულგარეთი**
0:1 ტუნჩევი (26)
**ლუქსემბურგი:** ჟილე, რეიტერი, შტრასერი, ბეტმერი, ჟოაკიმი (ჰუსი 52), კიმპეგერი, ლომბარდელი (ლევეკი 69), მუტში, პეტერსი (პაიალი 61), რემი, კ. ფერეირა
**ბულგარეთი:** ივანკოვი, ანგელოვი, ტოპუზაკოვი, ტუნჩევი, ვაგნერი, ლაზაროვი (იოვოვი 46), ს. პეტროვი, ტელკისკი, იანკოვი (კიშიშევი 77), ბერბატოვი, ბოჟინოვი (იანკოვიჩი 68)
გაფრთხილება: მუტში, ლომბარდელი, ანგელოვი, პეტროვი, რემი, ივანკოვი
მსაჯი: ნოვო პანიცი (ბოსნია)
3 156 მაყურებელი

**ჰოლანდია 2:1 ალბანეთი**
1:0 ვან პერსი (15), 2:0 ბექაი (42ს.კ.), 2:1 ცური (67)
**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, ბულარუზი, ოიერი, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი (ემანუელსონი 68), ნ. დე იონგი (შაარსი 50), ლანძაატი, სნეიდერი (დე კლერი 80), ბაბელი, რობენი, ვან პერსი
**ალბანეთი:** ბექაი, ალიაი (მურატი 65), ცური, დალკუ, დედე, ჰასი, ჰაჯი, ლალა (მუკაი 46), შკელა, ბოგდანი (ბერიშა 79), ტარე
გაფრთხილება: დე იონგი, ლალა, ბოგდანი
მსაჯი: ალონ იეფეტი (ისრაელი)
40 000 მაყურებელი

**ჯგუფის** ლიდერმა ჰოლანდიამ ალბანეთი დაამარცხა და უახლოეს მდევარ ბულგარეთთან ორქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა.

რობინ ვან პერსიმ სწრაფი გოლი შეაგდო, ხოლო შემდეგ სტუმართა გოლკიპერმა არიან ბექაიმ საკუთარ კარში გაიტანა. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, თითქოს ჰოლანდიელებს მეტოქე იოლად უნდა გაენადგურებინათ, თუმცა ცურიმ ერთი გოლი გაქვითა და მატჩის დასასრულიც დაძაბული გამოდგა. მარკო ვან ბასტენის შეგირდებმა გამარჯვებას მაინც მიაღწიეს. ალბანეთი კი სამ მატჩში ქულით კმაყოფილდება.

ვან ბასტენს ტრავმის გამო დირკ კუიტი ვერ ეხმარებოდა. თავდასხმაში გულშემატკივრებმა ვან პერსის, არიენ რობენის და რაიან ბაბელის ტრიო იხილეს. მეთორმეტე წუთზე კი ვან პერსის დარტყმა სტუმართა მეკარემ ძლივს მოიგერია. ლონდონის „არსენალის" მოიერიშემ მაინც გაიტანა — იორის მატიისენის კარგი პასის შემდეგ.

ნახევარმცველ დენი ლანძაატს ანგარიშის გაზრდაც შეეძლო, თუმცა ჰოლანდიელმა არაზუსტად დაარტყა. ალბანელთა საპასუო შეტევა კი მასპინძლების მეკარემ განნალმა — ვან დერ სარი ბოგდანის დარტყმას ადგილზე დაუხვდა.

შესვენებამდე ცოტა ადრე ბექაიმ ნიდერლანდელთა ფანები გაამხიარულა — ალბანეთის მეკარემ ბურთი საკუთარ კარში შეაგდო... მეორე ტაიმში გატანა ორივე გუნდს შეეძლო, ჯერ დალკუს დარტყმა მოიგერია ვან დერ სარმა, ხოლო 54-ე წუთზე რობი ვან პერსის სიზუსტე დააკლდა.

ალბანელმა ცურმა დამხვდურთა კარი ბოგდანის გადაცემის შემდეგ დალაშქრა. შემდეგ ბოგდანს გათანაბრებაც შეეძლო, მაგრამ ბედი იმ დღეს ჰოლანდიელთა მხარეს გახლდათ.

ბელარუსმა და სლოვენიამაც საკვალიფიკაციო ციკლი უიღბლოდ დაიწყეს. სლოვენიამ სახლში ბულგარეთთან დიდი ანგარიშით წააგო, ხოლო ყოფილმა საბჭოელებმა სამ ტურში მარტო ერთი ქულა აიღეს. ამიტომაც მატჩის წინ ორივე მეტოქე გამარჯვებაზე ძალუმად იყო დაქოქილი. ადრე ამ გუნდებს შორის ორივე მატჩი ფრედ დასრულდა. ეს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში გახლდათ.

მოწინააღმდეგეებს ტრავმირებული მოთამაშეები აკლდათ. ბელარუსებს მეკარეები, ვასილი ხომუტოვსკი და იური ჟევნოვი, სტუმრებს კი კაპიტანი ალექსანდრო კნავსი. მატჩის დებიუტში ორივე გუნდი ნერვიულობდა — ხშირად კარგავდნენ ბურთს და ვერც სახიფათო ეპიზოდებს ქმნიდნენ. მეტოქეებმა შემტევი სისტემები აირჩიეს და სტადიონზე მოსულმა გულშემატკივარმა ლამაზ ფეხბურთს უყურა.

სტუმარ-მასპინძელი სლავები დროის მცირე მონაკვეთში აფეთქდნენ და მერე ფანებს ისევ ჯაჯგური ბურთაობა შესთავაზეს. მეთექვსმეტე წუთზე ბელარუსმა დენის კოვბამ სერგეი კორნილენკოს გადაცემით გაიტანა. გადის სულ რაღაც ერთი წუთი და სლოვენია ანგარიშს ათანაბრებს — ბოსტიან სეზარმა კუთხურის შემდეგ საპასუხო გოლი შეაგდო.

შესვენებაზე სლოვენები კარგ ხასიათზე გავიდნენ. რობერტ კორენმა კლემენ ლავრიჩს ჩინებული პასით მიაწოდა და ამ უკანასკნელსაც თავი არ შეურცხვენია.

მეორე ტაიმში მასპინძელთა მწვრთნელმა პუნტუსმა ორი მნიშვნელოვანი ცვლილება განახორციელა, რამაც პრაქტიკულად მატჩის ბედი გადაწყვიტა. მოედანზე რომაშჩენკოს ნაცვლად შესული კორიტკო მარჯვენა ფლანგზე გამაგრდა, ხოლო ტიმოფეი კალაჩევმა მარჯვნიდან მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლა. სლოვენთა დამაქცევარი გოლები კორნილენკომ სწორედ კალაჩოვის და კორიტკოს გადაცემების შემდეგ შეაგდო.

ბელარუსმა შეტევები ამის მერეც არ შეწყვიტა და მეტოქის მცველებსაც დიდი ჯაფა დაადგათ. ერთ-ერთი კონტრიერეშისას სლოვენთა კომაცმა ბურთი ძელს მოარტყა და კინაღამ წყალში ჩაყარა მასპინძლების მთელი შემართება. მეოთხე გოლი კი კორიტკომ ეფექტური დარტყმით გაიტანა.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| ბულგარეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| რუმინეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| ბელარუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:10 | 4 |
| სლოვენია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |
| ალბანეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| ლუქსემბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | 0 |

# სარბიელი და კროკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:45 | 1 | უიგანი-მანჩესტერი | 6.50 | 3.60 | 1.50 | 2.31 | 1.21 | 1.05 |
| 15:45 | 2 | უიგანი-მანჩესტერი 1:0 | 2.35 | 3.40 | 2.40 | | | |
| 18:00 | 3 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 1.90 | 3.40 | 3.60 | 1.21 | 1.24 | 1.74 |
| 18:00 | 4 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი 0:1 | 3.20 | 3.50 | 1.80 | | | |
| 18:00 | 5 | ლივერპული-ბლეკბერნი | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| 18:00 | 6 | სიტი-შეფილდი | 1.70 | 3.50 | 4.50 | 1.14 | 1.23 | 1.96 |
| 18:00 | 7 | მიდლსბრო-ევერტონი | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| 18:00 | 8 | არსენალი-უოტფორდი | 1.15 | 6.00 | 16.00 | 1.00 | 1.07 | 4.36 |
| 18:00 | 10 | ასტონ ვილა-ტოტენჰემი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 20:15 | 11 | რედინგი-ჩელსი | 8.00 | 4.00 | 1.40 | 2.66 | 1.19 | 1.03 |
| 20:15 | 12 | რედინგი-ჩელსი 1:0 | 2.60 | 3.50 | 2.05 | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 13 | ნიუკასლი-ბოლტონი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:00 | 14 | ფულემი-ჩარლტონი | 2.00 | 3.30 | 3.50 | 1.24 | 1.27 | 1.69 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 15 | საუთენდი-ქოვენტრი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 16 | უოლვერჰემპტონი-კოლჩესტერი | 1.65 | 3.50 | 4.80 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| 18:00 | 17 | ბარნსლი-ჰალი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 18:00 | 18 | კრისტალ პალასი-კარდიფი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 19 | იფსვიჩი-ვესტ ბრომვიჩი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 18:00 | 20 | ლიდსი-სტოკი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 18:00 | 21 | ლესტერი-საუთჰემპტონი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 18:00 | 22 | ლუტონი-ბირმინგემი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 18:00 | 23 | პრესტონი-სანდერლენდი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 18:00 | 24 | ქპრ-ნორვიჩი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 18:00 | 25 | [illegible] | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:15 | 26 | პლიმუთი-დერბი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 27 | ტრანმერი-პორტ ვეილი | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| 22:45 | 28 | ნოთინგემი-ბრედფორდი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 29 | ოლდემი-ლეიტონი | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| 18:00 | 30 | როტერჰემი-ბრენტფორდი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 18:00 | 31 | სკანთორპი-ბრაიტონი | 1.55 | 3.50 | 5.80 | 1.07 | 1.22 | 2.18 |
| 18:00 | 32 | ბლეკპული-იოვილი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 33 | ბრისტოლი-ქრიუ | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 18:00 | 34 | ჩელტენჰემი-დონკასტერი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 35 | ჩესტერფილდი-სუონსი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 18:00 | 36 | ჯილინგემი-ნორთჰემპტონი | 2.65 | 3.20 | 2.45 | 1.44 | 1.27 | 1.38 |
| 18:00 | 37 | ჰადერსფილდი-კარლაილი | 1.90 | 3.30 | 3.65 | 1.20 | 1.24 | 1.73 |
| 18:00 | 38 | მილვოლი-ბორნმუთი | 2.00 | 3.20 | 3.45 | 1.23 | 1.26 | 1.66 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 39 | ბარნეტი-ლინკოლნი | 2.85 | 3.20 | 2.25 | 1.50 | 1.25 | 1.32 |
| 18:00 | 40 | ბოსტონი-მაკლსფილდი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
